პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაგრძელება 41-ე ფურცელი | № 10 (11924) | პარასკევი, 13 იანვარი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო ცნობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1961 წლის 12 იანვარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განაგრძობდა განხილვას დღის წესრიგის მეორე საკითხისა: 1960 წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის სახელმწიფო გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი.

დილის სხდომაზე ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა უზბეკეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. შ. რ. რაშიდოვის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის, აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. ი. ახუნდოვის, ლიტვის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ა. ი. სნეჩკუსის მოხსენებანი.

საღამოს სხდომაზე მოისმინეს მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ზ. ტ. სერდიუკის, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ა. ი. პელშეს, ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ი. რ. რაზაკოვის, ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ტ. უ. ულჯაბაევის მოხსენებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

მეჯი ელექტრომავლები სამშობლოს

გუშინ დღის 4 საათზე თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის ეზოში დიდი გამოცოცხლება იყო. აქ თავი მოეყარათ წარმოების რამოდენიმე ასეულ მუშამოსამსახურეს. იანვრის ამ მზიან დღეს სიცივე არ იგრძნობოდა. ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილი ხალხი პარტიის მორიგი, XXII ყრილობის დღის წესრიგზე საუბრობდა.

მიტინგი, მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობისა და პარტიის მორიგი, XXII ყრილობის მოწვევისადმი გახსნა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ დ. ბაკურაძემ.

ინფორმაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობისა და პარტიის მორიგი, XXII ყრილობის მოწვევის შესახებ გააკეთა საქარხნო პარტიული კომიტეტის მდივანმა ს. სარიშვილმა. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 10 იანვარს გაიხსნა, მიიღო დადგენილება 1961 წლის 17 ოქტომბერს მოწვეულ იქნას სკკპ მორიგი, XXII ყრილობა. ყრილობის მოწვევა, — აღნიშნავს სარიშვილი, — დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. ცნობამ ყრილობის მოწვევის შესახებ დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია რესპუბლიკის საწარმოებში.

პლენუმის გახსნის დღეს ჩვენი ქარხნის კოლექტივი სასახელო მაჩვენებლებით შეხვდა. მარშან, 1959 წელთან შედარებით, ელექტრომავლების გამოშვება დიდად გაიზარდა. მნიშვნელოვნად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება.

შვიდწლედის მესამე წელს, — განაგრძობს პარტკომის მდივანი, — საამქროებში გაჩაღდა მუშაობა ახალი წლის ბოლომდე დაამთავრონ ახალი ოთხღერძიანი სამგზავრო ტიპის ელექტრომავლის პროექტირება;

დანერგონ ასი რაციონალიზატორული წინადადება და მიიღონ 75 ათასი მანეთის პირობითი ეკონომია (ახალი ფულით).

• • •

სურათზე: სამანქანო საამქროს უფროსი ვ. ჩხიკვაძე ესაუბრება საამქროს მოწინავე მუშებს აღებული ვალდებულებების განხორციელების ღონისძიებებზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ხალხის შრომა, ხალხის სიხარული

საქართველოს მშრომელები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას პარტიის მორიგი, XXII ყრილობის მოწვევის შესახებ

ახალი ძალით ჩაღდება შრომა

ქუთაისი. (საკ. კორ.). რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის მშრომელები ყველა საბჭოთა ადამიანებთან ერთად უდიდესი ინტერესით აღევნებენ თვალს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას. ისინი მხურვალედ მიესალმებიან და ერთსულოვნად იწონებენ პლენუმის დადგენილებას პარტიის მორიგი XXII ყრილობის მოწვევის შესახებ.

გუშინ, 12 იანვარს ელექტრომექანიკურ ქარხანაში გაიმართა მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ხალხმრავალი მიტინგი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობისა და პარტიის მორიგი, XXII ყრილობის მოწვევის შესახებ გააკეთა საქარხნო პარტიული კომიტეტის მდივანმა ს. სარიშვილმა. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 10 იანვარს გაიხსნა, მიიღო დადგენილება 1961 წლის 17 ოქტომბერს მოწვეულ იქნას სკკპ მორიგი, XXII ყრილობა. ყრილობის მოწვევა, — აღნიშნავს სარიშვილი, — დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. ცნობამ ყრილობის მოწვევის შესახებ დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია რესპუბლიკის საწარმოებში.

პლენუმის გახსნის დღეს ჩვენი ქარხნის კოლექტივი სასახელო მაჩვენებლებით შეხვდა. მარშან, 1959 წელთან შედარებით, ელექტრომავლების გამოშვება დიდად გაიზარდა. მნიშვნელოვნად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება.

შვიდწლედის მესამე წელს, — განაგრძობს პარტკომის მდივანი, — საამქროებში გაჩაღდა მუშაობა ახალი ელექტრომავლის ასაწყობი კვანძებისა და დეტალების დასამზადებლად. ახალი ელექტრომავალი 10 ტონით უფრო მსუბუქი და 25 პროცენტით უფრო მძლავრი იქნება, ვიდრე დღემდე წარმოებაში მყოფი რვაღერძიანი სამაგისტრალო ელექტრომავალი.

ჩვენი ქარხნის კოლექტივი ტრადიციულად ყოველთვის გამოდის შეჯიბრების ინიციატორად. ამჯერად მთელი ჩვენი კოლექტივის სახელით ვაცხადებ, რომ ახალი შრომითი წარმატებებით აღვნიშნავთ ყრილობის გახსნის დღეს.

მიტინგზე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს და გადიდებული ვალდებულებები იკისრეს სამანქანო საამქროს მოწინავე ზეინკალმა ვ. ელიზარაშვილმა, სატვიფრო საამქროს ზეინკალმა დ. გრეჩკინმა და საამქროდლო საამქროს უფროსმა მ. გელაშვილმა და სხვ.

მიტინგის მონაწილეებმა მოწოდებით მიმართეს რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივებს გააჩაღონ პარტიის მორიგი, XXII ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება, რათა ახალი შრომითი წარმატებებით აღვნიშნოთ ყრილობის გახსნის დღე — 17 ოქტომბერი.

მიტინგის მონაწილეებმა თავიანთი მხრივ იკისრეს:

1961 წლის საწარმოო გეგმა შეასრულონ 20 დეკემბრისათვის;

შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაზარდონ 0,5 პროცენტით;

ელექტრომავლის თვითღირებულება გეგმასთან შედარებით შეამცირონ 0,3 პროცენტით;

ყრილობის გახსნის დღისათვის ზეგეგმითი დაგროვებიდან შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანონ 60 ათასი მანეთი (ახალი ფულით);

დიდი აღფრთოვანება

სტალინირი. (საკ. კორ.). დიდი პატრიოტული აღმავლობის დღეებია სამხრეთ ოსეთში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებამ მშობლიური პარტიის მორიგი ყრილობის მოწვევის შესახებ ახალი შრომითი და პოლიტიკური აქტივობა გამოიწვია ოლქის საწარმოებსა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში. ყველგან ეწყობა კრებები და საუბრები ამ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით.

ყრილობის მოწვევის ამბავი მისწვდა შორს — კავკასიონის მთების სიღრმეს — კვაისის ტყეებთუთიის საბადოებსაც. კვაისის მაღაროებში გაიმართა სახელდახელო მიტინგი, რომელიც გახსნა სამთო საამქროს უფროსმა გ. მხითარიანმა. მან თქვა:

— ჩვენი პარტია უგებება თავის მორიგ ყრილობას. ეს დიდი მოვლენაა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. სამთო საამქრო ახალი წლის დაწყებიდან ნაყოფიერად მუშაობს, გრაფიკი სისტემატურად სრულდება, მაგრამ ყრილობის მოწვევის ამბავი გვავალებს უფრო გავადიდოთ ტყვიისა და თუთიის კონცენტრატების გამოშვება.

ტრიბუნაზე ადის ცნობილი მაღაროელი, მბურღავი ა. ხუგაევი. იგი აცხადებს: — ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის ინტერესები ერთია. ბრიგადა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, თავის წვლილს შეიტანს საერთო-სახალხო საქმეში. პირობას ვდებ, რომ მადნის მონგრევის 11 თვის დავალება ყრილობის გახსნის დღისათვის შეგასრულო. ჩვენი ბრიგადა კომპლექსური გახდება. ყველა ჩვენთაგანს ეცოდინება მბურღავის, მებიგის, მეელმავლის პროფესია.

საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობა სუფევს საკოლმეურნეო სოფლებში. სტალინირის რაიონის სოფელ ხეთაგუროვის არტელის წევრთა საერთო კრებაზე მრავალი ასეული ადამიანი მოვიდა. ამ დიდი მრავალდარგოვანი კოლმეურნეობის მექანიზატორი ი. ხუბაევი, აგრონომი დ. გუცაევი და სხვები, იწონებენ რა ყრილობის მოწვევის შესახებ პლენუმის დადგენილებას, ვალდებულებას კისრულობენ კომპლექსური მექანიზაციით 200 ჰექტარი შაქრის ჭარხალი და სიმინდი დაამუშაონ.

სასიხარულო ცნობები მოდის ოლქის სხვა რაიონებიდანაც. კოლმეურნეები ვალდებულებას კისრულობენ პარტიის მორიგი ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით სანიმუშოდ მოემზადონ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის.

ჯილდო მოწინავეებს

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საბჭოს კომიტეტმა ფუნდი პრემიებით დაჯილდოვა 1960 წლის გამოფენის მონაწილე კოლექტივები, რომლებმაც საუკეთესო ნიმუშის მაჭანები, ტექნოლოგიური პროცესები და შრომის მოწინავე მეთოდები დანერგეს წარმოებაში.

საქართველოს სს რესპუბლიკიდან მესამე პრემიით — 2.500 მანეთით დაჯილდოებულია სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობის კოლექტივი. პრემია მიკუთვნებულია ლაჯანურის ელექტროსადგურის მშენებლობაზე საბჭოთა კავშირში პირველი კამაროვანი კაშხალის აგებისათვის მუშაობის ახალი ორგანიზაციის დანერგვისათვის, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა მშენებლობის ათ თვეში განხორციელება, ოთხჯერ შემცირდა ბეტონის სამუშაოების მოცულობა და 6-ჯერ — კლდის სამუშაოებისა.

მესამე პრემიით — 2.500 მანეთით დაჯილდოებულია აგრეთვე ზუგდიდის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც მიაღწია პროგრესული ხერხების კომპლექსურ დანერგვას ჩაის პლანტაციებში, როგორიცაა: მწკრივთაშორისების მექანიზებული დამუშავება, სასუქის შეტანის სისტემა, ჩაის პლანტაციების სიმეჩხერის აღმოფხვრა, რამაც უზრუნველყო ის, რომ 223,7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 51,3 ცენტნერი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. კოლმეურნეობამ გადაჯარებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის მიყიდვის გეგმა, შეამცირა შრომის დანახარჯები ცენტნერი ჩაის ფოთლის წარმოებაზე. (საქდესი).

ᲠᲫᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲒᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ

	1960 წ.	1959 წ.	1960 წ. %-ებში: 1959 წლის დადმი	1960 წ. %-ებში: გეგმისადმი	რძის მოწოდება ნაწილობრივ 1960 წელს %-ებში 1959 წლისადმი
	საშუალო ნაწველი ერთ ძროხაზე კილოგრამობით				
სულ რესპუბლიკაში	1286	1223	105,2	98,9	102,8
აქედან რაიონები 1960 წლის საშუალო ნაწველის ოდენობით					
1. ბათუმის	2652	2470	107,4	107,4	105,4
2. ქობულეთის	2136	2037	104,9	104,2	103,0
3. წითელწყაროს	1959	1852	105,8	103,7	111,3
4. ბოგდანოვკის	1956	1933	101,2	95,4	104,4
5. მახარაძის	1824	1665	109,5	114,0	109,0
6. საგარეჯოს	1818	1632	111,4	101,0	100,6
7. წალკის	1790	1752	102,2	102,3	100,3
8. თეთრი წყაროს	1761	1483	118,7	113,6	119,6
9. დმანისის	1719	1757	97,8	95,5	90,7
10. ახალქალაქის	1718	1676	102,5	100,0	105,1
11. გურჯაანის	1696	1670	101,6	109,4	103,0
12. ტყიბულის	1589	1472	107,9	105,9	106,4
13. ლაგოდეხის	1518	1430	107,2	116,8	100,0
14. ბოლნისის	1463	1440	101,6	94,4	99,3
15. სოღნაღის	1402	1459	96,1	94,5	98,8
16. თერჯოლის	1400	1263	110,8	107,7	101,2
17. ასპინძის	1388	1400	99,1	95,7	102,6
18. წყალტუბოს	1381	1101	125,4	122,8	112,2
19. სამგორის	1360	1334	101,9	80,0	100,5
20. ორჯონიკიძის	1341	1201	111,7	127,7	96,3
21. თელავის	1326	1271	104,3	102,0	100,8
22. მცხეთის	1323	1406	94,1	85,4	96,9
23. ზესტაფონის	1300	1193	109,0	118,2	102,1
24. ხაშურის	1268	999	126,9	101,4	118,6
25. საჩხერის	1247	1114	111,9	131,3	108,2
26. მარნეულის	1240	1250	99,2	82,7	104,6
27. ახალციხის	1237	1163	106,4	103,1	111,3
28. ბორჯომის	1222	1082	112,9	101,8	119,6
29. გორის	1220	1160	105,2	101,7	101,4
30. ქარელის	1212	1131	107,2	101,0	108,5
31. გაგრის	1189	1162	102,3	103,4	99,3
32. სტალინირის	1186	1163	102,0	92,7	98,2
33. ადიგენის	1171	1009	116,1	111,5	116,3
34. ყვარლის	1168	1190	98,2	93,4	96,6
35. ზუგდიდის	1151	1131	101,8	95,9	100,6
36. აბაშის	1103	1040	106,1	105,0	107,2
37. გეგეჭკორის	1098	842	130,4	109,8	113,5
38. ახმეტის	1096	1079	101,6	99,6	100,2
39. დუშეთის	1091	1049	104,0	102,9	94,4
40. ლანჩხუთის	1084	967	112,1	103,2	104,7
41. სამტრედიის	1071	1046	102,4	102,0	100,7
42. ვანის	1066	904	117,9	115,9	106,9
43. თიანეთის	1055	969	108,9	100,5	103,5
44. კასპის	1049	977	107,4	99,7	121,7
45. ცხაკაიას	1037	1023	101,4	94,3	98,7
46. ზნაურის	1025	1048	97,8	89,1	98,2
47. ხულოს	1024	829	123,5	102,4	108,7
48. ამბროლაურის	1003	937	107,0	100,3	99,3
49. ჩხოროწყუს	996	750	132,8	110,7	123,3
50. ყაზბეგის	978	1009	96,9	96,8	107,7
51. მესტიის	975	943	103,4	100,5	89,1
52. ონის	971	929	104,5	102,2	107,0
53. ჩოხატაურის	936	973	96,2	85,1	91,6
54. ქედის	923	802	115,1	102,6	108,2
55. წალენჯიხის	921	787	117,0	102,3	117,8
56. წულუკიძის	914	885	103,3	102,6	96,7
57. ლენინგორის	908	933	97,3	82,5	96,8
58. ცაგერის	878	818	107,3	97,6	105,4
59. ხობის	878	806	108,9	97,6	118,4
60. ქალაქი ჭიათურა	868	816	106,4	102,1	107,3
61. მაიაკოვსკის	859	738	116,4	107,4	109,7
62. ჯავის	854	1090	78,3	72,9	73,6
63. შუახევის	835	701	119,1	107,1	106,1
64. სოხუმის	771	798	96,6	85,7	95,7
65. გალის	748	811	92,2	83,1	90,9
66. ლენტეხის	663	733	90,5	64,7	89,6
67. ოჩამჩირის	654	744	87,9	76,9	83,6
68. გუდაუთის	647	741	87,3	80,9	91,6

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

კოლმეურნეთა სიხარული

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ზუგდიდელმა კოლმეურნეებმა სიხარულით შეიტყეს ცნობა პარტიის მორიგი XXII ყრილობის მოწვევის შესახებ.

რაიონის ერთ-ერთ მსხვილ სასოფლო-სამეურნეო არტელში — რუხის კოლმეურნეობა „საქართველოში“ გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. სიტყვით გამოსულმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ალ. კუტალიამ კოლმეურნეებს გააცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიმდინარეობის ანგარიში და საინფორმაციო ცნობა პარტიის მორიგი XXII ყრილობის მოწვევის შესახებ.

სიტყვას პირველი იღებს მეექვსე საწარმოო ბრიგადის ხელმძღვანელი პ. ჯანაშია. იგი ამბობს: — ბრიგადას აქვს 38 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. წელს სახელმწიფოს 222 ტონა ჩაი ჩავაბარეთ. მოსავლიანობამ საშუალოდ ჰექტარზე 6 ტონას მიაღწია. წელს უკეთესად ვიმუშავებთ — მოვკრეფთ 23[illegible] ტონა ჩაის ხარისხოვან ფოთოლს ხოლო მოსავლიანობას საშუალოდ ჰექტარზე 6.300 კილოგრამამდე ავიყვანთ.

სიტყვას იღებს მწველავი ნ. ლეთანაძე. — ჩვენი პარტია, — ამბობს იგი, — დაუღალავად ზრუნავს მშვიდობის განმტკიცებისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის. ეს გვავალებს უკეთესად ვიმუშაოთ. მოსავლელად მოჩენილი 12 ძროხიდან თვითეულზე შარშან 3.060 კილოგრამი რძე მივიღე. ვალდებულებას ვკისრულობ წელს თვითეულ მათგანზე 3.200 კილოგრამი რძე მივიღო.

კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წელს მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 1.650 ტონა ჩაი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.540 ტონისა. მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე აიყვანონ 5.700 კილოგრამამდე, ნაცვლად შარშან მიღებული 5.500 კილოგრამისა. 140 ძროხიდან თვითეულზე მიიღონ 3.200 კილოგრამი რძე, შარშან მიღებული 3.000 კილოგრამის ნაცვლად. ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 30 ცენტნერი სიმინდი, რაც გეგმიურს შვიდი ცენტნერით აღემატება.

ᲩᲝᲛᲑᲔ ᲔᲫᲔᲑᲡ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲡ

პარიზი, 12 იანვარი (საკდესი). კონგოს კანონიერი მთავრობის ჯარების წარმატებამ ჩრდილოეთ კატანგაში დიდი აურზაური გამოიწვია კატანგელ სეპარატისტთა ბანაკში.

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, კატანგის თვითმარქვია მმართველი ჩომბე გუშინ დათანხმდა შეხვდეს ლეოპოლდვილის რეჟიმის ლიდერებს „მოკავშირეების პოვნის მიზნით“.

ლეოპოლდვილის ინფორმირებულ წრეებში ფიქრობენ, რომ ჩომბე და კასავუბუ ამჯერად ლუმუმბას ჯარების მუქარის წინაშე მიაღწევენ კომპრომისს.

ამიერიდან, დაასკვნის ფრანს პრესის სააგენტოს ორესპონდენტი, „ბრწყინვალე იზოლა, ის“ პერიოდი ჩომბესათვის გავიდა: მას საშინელი საფრთხე მოელის **და იძულებულია ეძებოს მოკავშირეები.**

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲗᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ზუგდიდელმა კოლმეურნეებმა სიხარულით შეიტყეს ცნობა პარტიის მორიგი XXII ყრილობის მოწვევის შესახებ.

რაიონის ერთ-ერთ მსხვილ სასოფლო-სამეურნეო არტელში — რუხის კოლმეურნეობა „საქართველოში“ გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. სიტყვით გამოსულმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ალ. კუტალიამ კოლმეურნეებს გააცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიმდინარეობის ანგარიში და საინფორმაციო ცნობა პარტიის მორიგი XXII ყრილობის მოწვევის შესახებ.

სიტყვას პირველი იღებს მეექვსე საწარმოო ბრიგადის ხელმძღვანელი პ. ჯანაშია. იგი ამბობს: —

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲨᲘ

კიევის მეტროპოლიტენის პირველი რიგის მშენებლობის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 11 იანვრის ბრძანებულებით სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს კიევის მეტროპოლიტენის მშენებლობის სამმართველო დაჯილდოვა **ლენინის** ორდენით. სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა აგრეთვე სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს კიევის მეტროპოლიტენის მშენებლობის სამმართველოსა და სხვა ორგანიზაციების 297 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 13, შრომის წითელი დროშის ორდენით — 38, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 66, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 102 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 78 კაცი.

• • •

კიევის მეტროპოლიტენის აგებისას მოპოვებული დიდი საწარმოო წარმატებებისათვის გვირაბგამყვანთა ბრიგადირებს დიმიტრი კონსტანტინეს-ძე **მასკოს,** ივანე ნიკოლოზის-ძე **მიშჩენკოსა** და კალატოზთა ბრიგადირს სიმონ ნიკოლოზის-ძე **ხარჩენკოს** მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება .(საკდესი).

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲝᲛᲘ

მოსკოვი, 11 იანვარი, (საკდესი). გამოვიდა ვ. ი. ლენინის რჩეულ ნაწარმოებთა სამტომიანი გამოცემის მეორე ტომი.

მეორე ტომში დაბეჭდილია ნაწარმოებები, რომლებიც ვლადიმერ ილიას-ძემ დაწერა 1917 წლის მარტიდან 1918 წლის ივნისამდე, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების პერიოდში და საბჭოთა ხელისუფლების პირველ თვეებში.

ვ. ი. ლენინის რჩეულ ნაწარმოებთა სამტომეულს გამოსცემს პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტთან ერთად.

ᲣᲘᲚᲘᲐᲛ ᲤᲝᲡᲢᲔᲠᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

საბჭოთა კავშირის თერაპევტთა საზოგადოების მოწვეევით მოსკოვს ჩამოვიდა სამკურნალოდ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის საპატიო თავმჯდომარე ამხ. უილიამ ფოსტერი.

მოსკოვში ჩამოსვლის შემდეგ ამხ. უილიამ ფოსტერი შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრსა და ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ო. ვ. კუუსინენს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრს ამხ. ბ. ნ. პონომარიოვს.

ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲡᲣᲠᲘ ᲡᲐᲦᲘᲡᲘ

დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონ ჯომო კენიატა

ლონდონი, 12 იანვარი. (საკდესი). ნიგერიის ერთ-ერთმა უდიდესმა პარტიამ — ნიგერიისა და კამერუნის ეროვნულმა საბჭომ — ინგლისის კოლონიურ ხელისუფლებს მოსთხოვა დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ კენიის ხალხის ლიდერი ჯომო კენიატა. როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ლაგოსიდან იუწყება, განცხადებაში, რომელიც ნიგერიისა და კამერუნის ეროვნულმა საბჭომ გამოაქვეყნა, ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ახლა, როცა ჯომო კენიატას მოსხნეს ბრალდება, რომ იგი ხელმძღვანელობდა „მაუ-მაუს“ ორგანიზაციას, იგი აღარ უნდა იყოს გადახსნილებული.

ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲡᲣᲠᲘ ᲡᲐᲦᲘᲡᲘ

ᲓᲐᲣᲧᲝᲕᲜᲔᲑᲚᲘᲕ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲝᲜ ᲯᲝᲛᲝ ᲙᲔᲜᲘᲐᲗᲐ

ლონდონი, 12 იანვარი. (საკდესი). ნიგერიის ერთ-ერთმა უდიდესმა პარტიამ — ნიგერიისა და კამერუნის ეროვნულმა საბჭომ — ინგლისის კოლონიურ ხელისუფლებს მოსთხოვა დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ კენიის ხალხის ლიდერი ჯომო კენიატა. როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ლაგოსიდან იუწყება, განცხადებაში, რომელიც ნიგერიისა და კამერუნის ეროვნულმა საბჭომ გამოაქვეყნა, ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ახლა, როცა ჯომო კენიატას მოხსნეს ბრალდება, რომ იგი ხელმძღვანელობდა „მაუ-მაუს“ ორგანიზაციას, იგი აღარ უნდა იყოს გადახსნილებული.

ᲩᲝᲛᲑᲔ ᲔᲫᲔᲑᲡ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲡ

პარიზი, 12 იანვარი (საკდესი). კონგოს კანონიერი მთავრობის ჯარების წარმატებამ ჩრდილოეთ კატანგაში დიდი აურზაური გამოიწვია კატანგელ სეპარატისტთა ბანაკში.

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, კატანგის თვითმარქვია მმართველი ჩომბე გუშინ დათანხმდა შეხვდეს ლეოპოლდვილის რეჟიმის ლიდერებს „მოკავშირეების პოვნის მიზნით“.

ლეოპოლდვილის ინფორმირებულ წრეებში ფიქრობენ, რომ ჩომბე და კასავუბუ ამჯერად ლუმუმბას ჯარების მუქარის წინაშე მიაღწევენ კომპრომისს.

ამიერიდან, დაასკვნის ფრანს პრესის სააგენტოს ორესპონდენტი. „ბრწყინვალე იზოლა, ის“ პერიოდი ჩომბესათვის გავიდა: მას საშინელი საფრთხე მოელის **და იძულებულია ეძებოს მოკავშირეები.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

11 იანვარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომაზე გამოვიდა უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. ვ. პოდგორნი.

ამხ. ნ. ვ. პოდგორნის მოხსენება

ამხ. პოდგორნიმ მოკლედ დაახასიათა უკრაინის სახალხო მეურნეობის საერთო განვითარება შვიდწლედის განვლილ ორ წელიწადში და შემდეგ მოახსენა პლენუმს, თუ რა გაკეთდა და რა კეთდება რესპუბლიკაში იმისათვის, რომ ვადამდე შესრულდეს შვიდწლიანი გეგმის დავალებანი სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში.

მარცვლეულის, ხორცისა და რძის საშუალო წლიურმა წარმოებამ შვიდწლედის პირველ ორ წელიწადში, ამბობს მომხსენებელი, გადააჭარბა ამ პროდუქტების წინა ხუთწლედის წლების წარმოებას. მარცვლეულის საერთო მოსავალი 1960 წელს თითქმის წინა წლის დონეზე იყო და შეადგინა 1 მილიარდ 630 მილიონი ფუთი. ამასთან მნიშვნელოვნად გაიზარდა სპბურღული და სამარცვლე პარკოსანი კულტურების მოსავალი. რესპუბლიკამ ვერ შეასრულა მარცვლეულის მიყიდვის საერთო გეგმა, ხოლო ჩაბარა გეგმით გათვალისწინებულზე გაცილებით მეტი სიმინდი, განსაკუთრებით ჰიბრიდული და ჯიშიანი თესლი, აგრეთვე ფეტვი და ბარდა.

შაშან გადიდდა შაქრის ჭარხლის საერთო მოსავალი, გაიზარდა მზესუმზირის დამზადება, გადაჭარბებით შესრულდა ბოსტნეულის დამზადების გეგმა.

შვიდწლედის განვლილ ორ წელიწადში (ესე იგი 1958 წელთან შედარებით, რომელიც უკრაინაში ხელშემწყობი იყო სოფლის მეურნეობისათვის), ხორცის წარმოება გადიდდა 11 პროცენტით, აქედან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — 38 პროცენტით, რძის საერთო ნაწველი ამ მეურნეობებში 15 პროცენტით გაიზარდა.

რაც შეეხება მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებას 1960 წელს, აღნიშნავს მომხსენებელი, ხორცის მხრივ ამ პროდუქტების მოცულობა 1958 წელთან შედარებით გაიზარდა 20 პროცენტით, ხოლო სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. რძე გაყიდულია ნაკლები, ვიდრე დადგენილი იყო გეგმით.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის მატებამ კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებში შვიდწლედის ორი წლის მანძილზე შეადგინა 3,3 მილიონი სული, ანუ 33 პროცენტი. 100 ჰექტარ სავარგულებზე გაანგარიშებით რესპუბლიკაში ახლა არის: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 41 სული, აქედან ძროხა — 18,5 სული და ღორი — 53 სული. რესპუბლიკაში ასეთი სულადობის არსებობა უზრუნველყოფს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომ გადიდებას.

მომხსენებელი შეეხო რესპუბლიკაში მარცვლის წარმოებას და აღნიშნა, რომ გასულ წელს ამინდის პირობები უკრაინაში ძალიან რთული და ცუდი იყო. მნიშვნელოვან ფართობებზე საშემოდგომო კულტურებისა და მრავალწლიანი ბალახების ნათესები ძლიერი ყინვების გამო დაიღუპა. ძლიერ გვალვასა და ბორაყთან დაკავშირებით დაიღუპა აგრეთვე საგაზაფხულო კულტურების ნაწილი. რესპუბლიკაში შემუშავდა ღონისძიებანი იმისათვის, რომ შევსებულიყო საშემოდგომო კულტურების დაღუპვით გამოწვეული დანაკლისი მარცვლეულისა საგაზაფხულო კულტურების საერთო მოსავლის გადიდების გზით. მთავარი ყურადღება, ამბობს ამხ. პოდგორნი, ჩვენ მივაქციეთ სიმინდის წარმოების გადიდებას და ამისათვის დამატებით გავადიდეთ მისი ნათესები 2,5 მილიონი ჰექტარით. მისი მცირე მოსავლიანობის პირობებშიც კი კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვანწილად დაიღწიეს თავი ძნელ მდგომარეობის საკვების მხრივ, რასაც ისინი განიცდიდნენ მთელი რიგი წინა წლების მანძილზე.

გასული წლის წარეკეტებლობა, ხაზგასმით აღნიშნავს მომხსენებელი, არ შეიძლება აეხსნათ მხოლოდ ობიექტური მიზეზებით — არახელსაყრელი ამინდით. საქმე, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში არსებობს სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებსაც უშვებენ რესპუბლიკის ბევრი პარტიული და საბჭოთა ორგანოები. მთავარი ნაკლი ის არის, რომ რესპუბლიკაში ჯეროვნად არ ყოფილა ორგანიზებული ბრძოლა მარცვლეული კულტურების უხვი მოსავლიანობისათვის, და პირველ რიგში ეს ეხება სიმინდს.

მომხსენებელმა დაახასიათა მეცხოველეობის მდგომარეობა და თქვა, რომ კონცენტრირებული საკვების ნაკლებობის მომიზეზებით რესპუბლიკაში ჯეროვნად არ მუშაობდნენ მეღორეობის განვითარებაზე და ხორცის ჩაბარებაში უმთავრესად ორიენტაციას იღებდნენ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე. მეცხოველეობის განვითარებაში ერთ-ერთ ნაკლად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ის, რომ რძის წარმოების შემდგომი გადიდება. ამასთან დაკავშირებით ძროხის სულადობის ზრდასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მის პროდუქტიულობას, ცხოველთა ჯიშობრივი თვისებების გაუმჯობესებას.

მომხსენებელი შემდეგ შეეხო სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, ტექნიკის რაციონალურად გამოყენების საკითხებს.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სულ უფრო მეტი იქმნება მსხვილი რგოლები 5-7 მექანიზატორის შემადგენლობით, რომლებსაც მიჩენილი აქვთ თვითეულს 500-700 ჰექტარი სახნავი მიწები. ჭარხლისმთესველ რაიონებში იქმნება გამსხვილებული რგოლები. ამ რგოლებში, მექანიზატორების გარდა, შედის 30-40 კოლმეურნე.

ამხ. პოდგორნი ამბობს, რომ განუხრელად მტკიცდება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა. წინასწარი მონაცემებით, გასულ წელს უკრაინის კოლმეურნეობებმა განუყოფელ ფონდებში გადარიცხეს 750 მილიონ მანეთზე მეტი (ახალი ფულით), ესე იგი მთელი ფულადი შემოსავლის 24 პროცენტი. განუყოფელი ფონდების საერთო თანხამ წლის დამლეგისათვის შეადგინა 4,7 მილიარდი მანეთი, ანუ თითქმის 500 ათასი მანეთი საშუალოდ თითო მეურნეობაზე.

მოხსენების დასასრულს ამხ. პოდგორნი აცხადებს, რომ ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მოწვევის შესახებ უკრაინის მშრომელებში გამოიწვევს ახალ ენერგიასა და შემოქმედებითს ინიციატივას. ყველა კომუნისტი, თვითეული მუშა და კოლმეურნე მტკიცედ იბრძოლებს იმისათვის, რომ ღირსეული შრომითი გამარჯვებებით შეხვდეს ყრილობას.

• • •

11 იანვრის საღამოს სხდომაზე გამოვიდა უკაზეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. დ. ა. კუნაევი.

ამხ. დ. ა. კუნაევის მოხსენება

საბჭოთა კავშირის ხალხთა უდიდესი ძმური დახმარებით, თქვა ამხ. კუნაევმა, რესპუბლიკა ჩვენ, ქვეყნის უდიდეს სასოფლო-სამეურნეო რაიონად გადაიქცა და ახლა მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა უკავია ხასკონლო მარცვლისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში. მაგრამ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოების მიღწეული დონე ჯერ კიდევ არა საკმარისია და არ შეესაბამება იმ დიდ შესაძლებლობებს, რაც ყაზახეთს მოეპოვება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე 1959 წელს რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები სამართლიანად გააკრიტიკეს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის. შარშან ხორციელდებოდა ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. შეიქმნა და მუშაობს 183 მექანიზაციის სასწავლებელი, მომზადებული და გადამზადებულია 100 ათასზე მეტი ტრაქტორისტი და კომბაინერი. დაახლოებით 5 მილიარდი მანეთი დაბანდებულია საბჭოთა მეურნეობების წარმოების შემდგომი განვითარებისათვის; მთლიანად შესრულდა საბინაო მშენებლობის დაწესებული მოცულობა. საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა მიიღეს დამატებითი ტექნიკა, გაფართოვდა პურისმიმღები პუნქტების ქსელი. გაზაფხულზე მთავარი ყურადღება ექცეოდა იმას, რომ დროულად და ხარისხიანად გაგვეხორციელებინა ხვნა-თესვა, მაგრამ სამ მილიონ ჰექტარზე მარცვლეული კულტურები მაინც დაგვიანებულ ვადებში დავთესეთ.

ორატორმა თქვა, რომ განვლილ წელს მოყვანილი პური აღებულია მთლიანად. სახელმწიფოს მცირე მოსავლიანობის გამო ჩავაბარეთ მხოლოდ 642 მილიონი ფუთი პური, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 794 მილიონი ფუთისა. რესპუბლიკა დიდ ვალში დარჩა სახელმწიფოს წინაშე.

ამის მიზეზი, აღნიშნა ამხ. კუნაევმა, მარტო ამინდის პირობები როდია, რადგანაც მოწინავე მეურნეობებმა შეძლეს მოეწიათ უხვი მოსავალი. მთავარი მიზეზი იმისა, რომ წინა წლებთან შედარებით შემცირდა მარცვლის წარმოება, არის აგროტექნიკის უხეში დარღვევა, უხარისხო თესლით თესვა, დანაკარგები მოსავლის აღების დროს.

ახლა ხორციელდება ღონისძიებანი იმისათვის, რომ ყაზახეთმა 1961 წელს სახელმწიფოს ჩააბაროს 800-850 მილიონი ფუთი მარცვალი, უმთავრესად ხორბალი. ამისათვის უნდა ავამაღლოთ მარცვლოვანი კულტურების მოსავლიანობა, მინიმუმ 3-3,5 ცენტნერით ჰექტარზე. გათვალისწინებული გვაქვს მოვხნათ ირანაკლებ 5,5 მილიონი ჰექტარი ადრეული ანეული.

პრაქტიკისა და მეცნიერების მონაცემები ადასტურებენ, რომ, თუ მარცვლეულის თესვა განხორციელდება კარგად დამუშავებულ ანეულსა და მზრალზე, ყაზახეთს შეუძლია გაადიდოს მარცვლის მთლიანი მოსავალი 150-200 მილიონი ფუთით.

ახალი საბჭოთა მეურნეობების შექმნის დროს შეიძლება დამატებით ავითვისოთ კიდევ 3-3,5 მილიონი ჰექტარი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილენი (მარცხნიდან) აკადემიკოსი მ. საბაშვილი, სამგორის საჯიშე მეფრინველეობის მეურნეობის დირექტორი კ. კოვზირიძე და სამგზის სოციალისტური შრომის გმირი ტურსუნკულოვი საუბრობენ შესვენების დროს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

• • •

ყამირი და საერთო სახნავ ფართობს ავიყვანთ 36 მილიონ ჰექტარამდე.

ამხ. კუნაევმა აღნიშნა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სამანქანო-სატრაქტორო პარკის გამოყენების გაუმჯობესება.

უწინდებურად ერთ-ერთი მთავარი საკითხია მექანიზატორთა მუდმივი კადრების შექმნა. 1961 წელს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებში და მეურნეობებში გახსნილ კურსებზე მომზადდება 80 ათასამდე მექანიზატორი. მაგრამ ამ კადრების მოთხოვნილება მთლიანად ვერ დაკმაყოფილდება. ამ საქმეში, განაცხადა ამხ. კუნაევმა, სერიოზული დახმარება შეიძლება გაგვიწიოს იმან, თუ უკრაინისა და რუსეთის ფედერაციის საბჭოთა მეურნეობების მუდმივი კავშირურთიერთობა დამყარდება ყაზახეთის ყამირის საბჭოთა მეურნეობებთან, ისე რომ სამხრეთ ოლქების კომბაინერები, თავიანთი მოსავლის აღებას რომ დაამთავრებენ, ჩამოვიდნენ ჩვენთან.

ნ. ს. ხრუშჩოვი: მიმაჩნია, რომ ეს სწორი იქნება, მაგრამ მხოლოდ როგორც დროებითი, გარდამავალი ღონისძიება. თქვენ თვით უნდა შექმნათ თქვენში კომბაინერთა კადრები საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, აგრეთვე კომბაინერის პროფესია შეასწავლოთ გარკვეული რაოდენობის მუშებსა და მომსამსახურეებს თქვენს საწარმოებსა და დაწესებულებებშიც კი.

კარგი იქნებოდა, რომ მეღორეები, მწვეველები და მეცხოველეობის სხვა მუშაკები დაეუფლონ კომბაინერის პროფესიას და შეძლონ იმუშაონ მოსავლის აღებაზე. იგი ხომ წელიწადში დაახლოებით 15 დღეს გრძელდება. ასე რომ უკეთესია უფრო მეტი გადავუხადოთ ადგილობრივ მუშაკებს, ვიდრე გადავიყვანოთ ადამიანები სხვა რესპუბლიკებიდან რამდენიმე ათას კილომეტრ მანძილზე. დარწმუნებული ვარ, რომ შეიძლება მოინახოს შესანიშნავი ადამიანები, რომლებიც წვალენ კომბაინერებად მოსავლის აღების პერიოდში, ტექნიკა კი თქვენ გექნებათ. მაშინ თქვენ არ დაუწყებთ უკრაინასა და რუსეთის ფედერაციის მიწვევას. (ტაში).

დ. ა. კუნაევი: ჩვენც ასე გვესმის.

ყაზახეთის სამხრეთ რაიონების ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები საშუალებას გვაძლევს მარცვლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანასთან ერთად მნიშვნელოვნად გავაფართოოთ ბამბის, შაქრის ჭარხლისა და სხვა ტექნიკური კულტურების წარმოება.

განსაკუთრებულ ყურადღებას, აღნიშნა ამხ. კუნაევმა, იმსახურებს ის წინადადება, რომ დამყარდეს წესრიგი სარწყავი მიწების გამოყენებაში და ამასთან დაკავშირებით წინადადება ბრინჯის ნათესების გაფართოების შესახებ.

ამ საკითხზე ბოლო სიტყვა ეკუთვნის ამხ. ბ. ნ. ჰამარშელდს. ეს ადამიანი ბევრ ადგილზე ყოფილა, ბევრი ენა ეცოდინებოდა, ბევრ ადგილზე ყოფილა ელჩად, ბევრ ადგილზე ყოფილა ელჩად, ბევრ ადგილზე ყოფილა ელჩად. ეს ადამიანი

მინდვრის „დედოფალი“

ზესტაფონიდან დასავლეთით მატარებლით ორიოდე სადგურს რომ გაივლით, ვიდრე რიონში შეხვიდოდეთ, ხელმარცხნივ არის რკინიგზის აჯამეთის სადგური. აქედან ორას მეტრზე მწვანეში ჩაშენული ორი მოზრდილი შენობა დგას. ჭიშკარზე წარწერაა: „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის აჯამეთის მემინდვრეობის საცდელი სადგური“. იგი თავის ისტორიას 1895 წლიდან ითვლის, მაგრამ ნამდვილი მეცნიერული ძიება აქ საბჭოთა პირობებში დაიწყო და გრძელდება.

სადგურის კოლექტივი მუშაობს პრობლემატური და საბირობოროტო თემების დამუშავება-დადგენაზე, აგროტექნიკის გაუმჯობესებასა და მარცვლეული კულტურების გაუმჯობესებულ ჯიშთა შექმნაზე.

ეს ახალი ამბავი როდია, მაგრამ საინტერესოა გავიხსენოთ, რომ აქ შეიქმნა, აქ დაიბადა სიმინდის შესანიშნავი ჯიში „აჯამეთის თეთრი“, რომელიც ახლა საქმიანოდ ცნობილია. მის გამოყვანაზე სადგურის მთელ კოლექტივთან ერთად მცირე ღვაწლი როდი მიუძღვით პროფესორ ლ. დეკაპრელევიჩს და გამოცდილ აგროტექნიკოსს დ. ნებიერიძეს.

ამას წინათ რაიონის ცენტრში სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა მოეწყო. აქ სხვა ექსპონატებთან ერთად ყურადღებას იპყრობდა აჯამეთის საცდელი სადგურის მიერ გამოყვანილი „ჯამეთის თეთრი“. ჰექტარზე 527 ცენტნერი მწვანე მასა და 52 ცენტნერი მარცვალი სიმინდი მიიღეს. და ეს ზღვარი როდია. აქედან ჩვენი სამშობლოს ოთხელ კუთხეში არ იგზავნება „აჯამეთის თეთრი“ თესლი. აქედან მოხვდა იგი ნიკოლოზ მანუკოვსკისთან, აქედან იხილა მან ვორონეჟის მიწა. ამასთან დაკავშირებით განა შეიძლება არ გავიხსენოთ ფრიად საინტერესო ინფორმაცია — „ტუმარი საქართველოდან“, რომელიც გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ დაიბეჭდა.

„ცნობილმა მესიმინდემ მანუკოვსკიმ საქართველოდან მიიღო პარკი სათესლე სიმინდით და ბარათი. „გაგზავნით აჯამეთის თეთრკბილა სიმინდს. სცადეთ თქვენს ნაკვეთზე. კარგ მოსავალს თუ მიიღებთ, გაგვიხარდება“.

ამ დროს ნიკოლოზ მანუკოვსკისთან სტუმრად იყვნენ ვორონეჟის ოლქის კოლოტოიაკის რაიონის მექანიზატორები. მანუკოვსკი სტუმართმოყვარე და გულუხვი ადამიანია, მან საქართველოდან მიღებული საჩუქარი სტუმრებსაც გაუნაწილა.

მექანიზატორები დაბრუნდნენ კოლოტოიაკში. დაიწყეს თესვა. სიმინდს შეხვდა ცუდი ნაკვეთი, ისიც კოლოტოიაკოსტროგოეესკის გზის პირას, სადაც მუდამ დიდი მოძრაობაა. სკეპტიკოსები მათ მასხრად იგდებდნენ:

— რა დღეში ჩააგდებთ კოლმეურნეობის მანქანებს! მთელი შემოდგომა არ ეყოფათ, რომ თქვენი კბილანა „დედოფალი“ გადაზიდოთ სასილოსე ორმოებამდე.

მექანიზატორები ხმას არ იღებდნენ, მხოლოდ კარგად უყლიდნენ თავიანთ სიმინდს. და თითქოს ზრუნვისათვის მადლობის ნიშნად, აჯამეთელმა „დედოფალმა“ ტანი აიყარა, აგვისტოში მან მიაღწია სამ, ხოლო სექტემბერში ხუთ მეტრს. ტაროების მოსატეხად ცხენზე დგებოდნენ.

ათას ასი ცენტნერი მწვანე მასა ჰექტარზე! ასეთი მოსავალი გაუგონარია ვორონეჟის ოლქში.

აჯამეთის მემინდვრეობის საცდელ სადგურს აქვს მარცვლეული კულტურების განყოფილება, საკვებმოპოვების განყოფილება და აგროქიმიური ლაბორატორია. პირველ განყოფილებას სოფლის მეურნეობის მეცნიერების კანდიდატი ილ. ჭიჭინაძე უძღვება, მეორეს — მეცნიერი მუშაკი ედ. ყავლაშვილი, ხოლო ლაბორატორიას, რომელიც ნიადაგების ქიმიურ-ფიზიკურ თვისებებს განსაზღვრავს, ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი ეთერ კობეზაშვილი.

ეწერი ნიადაგების ნაყოფიერების გადიდება ფრიად აქტუალური და პრობლემატური საკითხია დასავლეთ საქართველოში. საცდელმა სადგურმა დაამუშავა ეს თემა და საბოლოოდ დადგინა, რომ ეწერი ნიადაგების ღრმად მოხვნა და იქ დეფეკაციური (კირშემცველი) სასუქების გამოყენება ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა ეწერ ნიადაგებზე სიმინდის მოსავლის გასადიდებლად. თერმეტი წლის ცდებმა და დაკვირვებებმა ცხადყო, რომ ამ პერიოდში ნიადაგი ღრმად (30-35 სანტიმეტრი) იხვნება მხოლოდ ერთხელ შემოდგომაზე. მომდევნო წლებში კი ნიადაგი იხვნება ჩვეულებრივად. იქ შეიტანეს იაფი სასუქი — აგარის შაქრის ქარხნის ნარჩენები. ამ ღონისძიებით პირველ სამ წელს საშუალოდ ჰექტარზე ყოველწლიურად სიმინდის მოსავალი დიდდება 13,6 ცენტნერით.

ეს ღონისძიება უკვე ინერგება. მარტო 1960 წლის შემოდგომაზე ზესტაფონის, მაიაკოვსკის, თერჯოლის, ვანის, წყალტუბოს და სამტრედიის რაიონებში ღრმად მოიხნა 1.020 ჰექტარი ეწერი ნიადაგები. ეს ფართობი მომავალში მკვეთრად უნდა გაიზარდოს.

მეორე ღონისძიება, რომელიც სადგურმა დაამუშავა და მოსავალს ზრდის, ეს არის ერთწლიანი პარკოსანი ბალახების შუალედ კულტურად თესვა. ამით სულ მცირე 10 ცენტნერით იზრდება სიმინდის საპექტარო მოსავლიანობა.

მარცვლეული კულტურების განყოფილება ამუშავებს აგრეთვე მორწყვის რეჟიმის, ნიადაგში სასუქების შეტანის ვადებისა და დოზის, სიმინდისა და სოიის შერევითი თესვის, სიმინდის თესვის პროგრესული მეთოდების მტკივნეულ საკითხებს.

ნაყოფიერად მუშაობს საკვებმოპოვების განყოფილებაც. ბევრი ცდებით დადგინდა, რომ თივის მაღალი მოსავლის მისაღებად უმჯობესი და ხელსაყრელია ლუჯი იონჯისა და კოინდრის საძოვრის თესვა. კარგი აგროტექნიკის პირობებში ჰექტარზე იღებენ 160 ცენტნერ თივას. ამას გარდა ბალახების თესვა აუმჯობესებს ეწერ ნიადაგებს.

სადგურში ხშირად ნახავთ ზესტაფონელ და თერჯოლელ მოწინავე კოლმეურნეებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, რომლებიც რჩევა-დარიგებას იღებენ მეცნიერი მუშაკებისაგან. მაგრამ მეცნიერ მუშაკებსაც ხშირად ნახავთ კოლმეურნეობებში. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატები ს. კახაძე და ილ. ჭიჭინაძე, მეცნიერი მუშაკები ე. ყავლაშვილი, ნ. ცხადაია და ან. ჭუმბურიძე კოლმეურნეობებში კითხულობენ ლექციო-მოხსენებებს აგროტექნიკის საკითხებზე.

ბევრი კარგი საქმე გააკეთა აჯამეთის საცდელი სადგურის კოლექტივმა, მაგრამ უფრო მეტი გასაკეთებელი აქვს. მთავარი კი მაინც ის არის, რომ მეცნიერების, აგროტექნიკის მიღწევები ყველა კოლმეურნის კუთვნილება გავხადოთ, საცდელ ნაკვეთებზე მიღწეული შედეგები ფართოდ დავნერგოთ კოლმეურნეობებში.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ასე იზრდება შრომის ბარაქა

საკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გახსნის წინადღეებში სამგორის საჯიშე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის ორ საფრინველეში საექსპლოატაციოდ გადაეცა პირველი საწარმოო დანადგარი საკვების მიწოდება-დარიგების, კვერცხების შეგროვებისა და საფრინველეს გაწმენდა-გასუფთავების სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციისათვის.

დანადგარი, რომელიც ათავისუფლებს მეფრინველეებს მძიმე შრომატევადი სამუშაოებისაგან, შექმნა სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივმა რესპუბლიკის მთელი რიგი ორგანიზაციების დახმარებით.

...სამგორის საჯიშე საბჭოთა მეურნეობა, რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, ამჟამად რესპუბლიკაში მეფრინველეობის ერთ-ერთი უდიდესი მეურნეობაა. საკმაოა ითქვას, რომ მარტო 1960 წელს მეურნეობის კოლექტივმა, შეასრულა რა ყველა ნაკისრი ვალდებულება, ჩაბარა სახელმწიფოს თითქმის სამი მილიონი ცალი კვერცხი, 1581 ცენტნერ ფრინველის ხორცი, რამდენიმე ასეული ათასი საჯიშე წიწილა. ცხადია, რომ ასეთი მსხვილი მეურნეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამუშაოთა მექანიზაციას. და აი, სულ მოკლე ხნის წინათ საბჭოთა მეურნეობის ერთ-ერთ საფრინველესთან დადგმულ იქნა საკვების შესანახი ვეებერთელა რეზერვუარ-ბუნკერები. თვითეული ასეთი ბუნკერი 5 ტონა საკვებს იტევს. ამ ბუნკერებისაგან გამოდის სპირალური მილები, რომლებითაც წარმოვებს საკვების დარიგება ბაგებში საფრინველეს მთელი 80 მეტრის სიგრძეზე. საფრინველეს შუაში კვერცხმდებელ ჭათმებისათვის დადგმულია შეწყვეტილებული ბუდეები სპეციალური ტრანსპორტიორებით კვერცხების შესაგროვებლად. სამართავ პულტთან მდგომმა მეფრინველემ საკმაოა დააჭიროს ღილაკს თითი და დაიძრება ტრანსპორტიორის ლენტი, რომელიც მეფრინველესთან აგროვებს კვერცხებს. ასეთივე წესით ხდება საკვების დამრიგებელი და საფრინველეს გასაწმენდი მექანიზმების მართვა.

სურათებზე: 1. ახალი დანადგარის ავტორთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ) სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი ინჟინერი ბ. ჭელიძე, უმცროსი მეცნიერი მუშაკი ჯ. ჯანაშვილი, ელსადენისა და ელექტროფიკაციის განყოფილების გამგე ა. არსენიშვილი, ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ხ. ვაჩეიშვილი, საკონსტრუქტორო ბიუროს გამგე კ. საყვარელიძე და უფროსი მეცნიერი მუშაკი რ. ლომიძე.

2. სამგორის საბჭოთა მეურნეობის მეფრინველე ქ. ლორკოტაშვილი ახალი დანადგარის სამართავ პულტთან.

3. საკვების დამრიგებელთან.

ტექსტი ა. ვიგანსკისა.

ფოტო ხ. ონანოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვვიდწლედის ნაგიჭვებით...

ჩაღდება სამშენებლო ინდუსტრიის კერა

თბილისის სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკებმა 1961 წლის პირველ დღეებში ახალი საჩუქარი მიუძღვნეს სამშობლოს: აამუშავეს საქართველოში პირველი სახლსამშენებლო კომბინატი. მან სრული სიმძლავრის ათვისებით უნდა შეძლოს ყოველწლიურად 35.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის შემცველი სახლების სრული კომპლექტების გამოშვება.

როგორი იქნება ეს სახლები, როგორ უნდა განხორციელდეს მათი მონტაჟი? — ეს იქნება უმთავრესად თითო ოთხსართულიანი 44-ბინიანი და სამსექციანი (სამი მთავარი შესასვლელით) სახლი, აწყობილი დიდგაბარიტიანი პანელებისაგან. ყოველი სახლი უნდა შეიცავდეს ერთ-ორ და სამოთახიან ბინებს. ოთახის საშუალო ფართობი იქნება 31,5 კვადრატული მეტრი, ხოლო მთელი სახლის სასარგებლო ფართობი — 1.328 კვადრატული მეტრი. კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის საჭარხნო თვითღირებულება განსაზღვრულია 95 მანეთით (ახალი ფულით).

კომბინატში უკვე მომზარაგებული აქვთ ასაწყობი საცხოვრებელი სახლების სერიულად გამოშვებისათვის საჭირო დოკუმენტაცია. ამ დოკუმენტაციის მიხედვით ყოველი ოთხსართულიანი და 44-ბინიანი სახლისათვის საჭირო იქნება 71 სახელწოდების 1.050 სამშენებლო დეტალის დამზადება. კომბინატმა ყოველთვიურად უნდა გამოუშვას, დაამონტაჟოს და მობინადრეთა შესასახლებლად გაამზადოს საშუალოდ 2,5 სახლის კომპლექტები.

...ბოლო დროს, მსხვილბლოკებიან და დიდპანელებიან სახლმშენებლობაში შემოღებულ იქნა ახალი წესი: სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკები ამზადებენ დიდ ბლოკებს და პანელებს, თვითონვე მიაქვთ ისინი სამშენებლო მოედანზე და თვითონვე ასრულებენ სახლის სამონტაჟო სამუშაოებს. ამ წესით შენდება თბილისში ახალი საცხოვრებელი უბანი დიღმის ველზე და ეს კარგ შედეგს გვაძლევს. ექვი არ არის, ასევე კარგ შედეგს მოგვცემს სახლსამშენებლო კომბინატის მუშაობა. ბრიგადა, რომელიც ამ კომბინატში დაამზადებს 44-ბინიანი სახლის სრულ კომპლექტს, თვითონვე ააწყობს ამ კომპლექტს სახლად და, სახლის მონტაჟის დროს რომ არ შეფერხდნენ, ბუნებრივია, შეეცდებიან მთელი კომპლექტი მაღალხარისხოვნად გაამზადონ.

ეს მნიშვნელოვანი სიახლეა თბილისის ბინათმშენებლობაში, რასაც შედეგად მოჰყვება მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება და ტემპის დაჩქარება, საცხოვრებელი ფართობის თვითღირებულების შემცირება და მშენებელთა კადრების განთავისუფლება სხვა ობიექტებზე სამუშაოდ.

სახლსამშენებლო კომბინატის პროფილით გათვალისწინებულია თბილისის დამახასიათებელი ერთი თავისებურებაც. საქმე ის არის, რომ თბილისი მდებარეობს ე. წ. სეისმური ზოლის ფარგლებში და მიწისძვრა აქ იშვიათი მოვლენა როდია. ამიტომ არის, რომ საცხოვრებელი სახლების კომპლექტების სერიული გამოშვებისას კომპლექტის შემადგენელი ყოველი სამშენებლო დეტალი ანტისეისმური ძარღვებით იქნება განმტკიცებული...

...ნავთლუღს იქით, რუსთავის მიმართულებით, სამგორის ველის ერთ კუნჭულში უზარმაზარი ადგილი შემოზღუდულია ქვითკირის ღობით. შორიდანვე შენიშნავს მიმსვლელი საქვაბე-საორთქლე დანადგარის კვამლსადენს, კოშკურა ამწეების აეურულ კონსტრუქციებს, ახალ გადახურულ საწარმოო კორპუსებს და მაგისტრალიდან მათკენ გაყვანილი რკინიგზის ლიანდაგის ფოლადის პარალელურ ხაზებს.

აქ არის სახლსამშენებლო კომბინატი. ამ ლიანდაგით შემოიქცევ კომბინატის ტერიტორიაზე. ქვიშა, ხრეში, ხე-ტყის მასალა, ცემენტი. საწარმოო კორპუსებს შორის ყველაზე დიდია სამსხმელო, ანუ საკასეტო კორპუსი. მრავალნაირ ლითონის კასეტებს ელექტროდენი ამოძრავებს.

4 ინვენტარ კომბინატში უკვე შეუდგენენ პირველი სახლისათვის საჭირო დეტალების გამოშვებას — ენთუზიაზმით და ხალისით მუშაობენ ამ დეტალების ჩამოსხმაზე რუსეთში გამოცდილებაძიღებული ჩვენი სახლმშენებლები ა. ხოსიტაშვილი, ნ. ჩუბინიძე, ი. არუთინოვი, ო. მღებრიშვილი, ახალგაზრდა ინჟინრები მ. ჭეიშვილი, ლ. დოხნაძე, ჯ. ქორიძე, ვ. დუდუჩავა, რომელთაც ხელმძღვანელობს კომბინატის ტექნიკური კონტროლის უფროსი, ინჟინერი ოთარ ჩომახიძე.

დ. ლომთაძე.

სახლი — ქარხნის პროდუქცია

ვვიდწლედის მესამე წლის პირველ დღეებში რესპუბლიკის საწარმოთა რიგებში ჩადგა ვვიდწლედის კიდევ ერთი პირმშო — საერთო მშენებლობის მეხუთე ტრესტის ბათუმის სახლსამშენებლო ქარხანა. ქარხანამ ახალი წლის პირველ სამუშაო დღეს წარმატებით ჩაბარა გამოცდა და გამოუშვა უწონო და უდეფექტო პროდუქცია.

სამშენებლო დეტალების ჩამოსხმა ქარხანაში კასეტური წესით ხორციელდება. საამისოდ აქ უკვე გამართეს კასეტებიან მთელი კომპლექსი. ერთი ჯგუფი კასეტებისა გვაძლევს ე. წ. ყრუ პანელებს, მეორე — სატიხრავ პანელებს კარებიანად, მესამე — მთლიან ჭერს, მეოთხე — მთლიან კიბეებს და ა. შ. გარე საკედლე პანელს აქ ფანჯრებიანად დაამზადებენ, შიგა პანელებს — კარებიანად და სხვა კვანძებიანად. პანელების ზედაპირი ისე გლუვია, რომ შელესვას აღარ მოითხოვს. თვითეული პანელის დამზადების ციკლი დაახლოებით 12 საათს გრძელდება.

სრული სიმძლავრით ამუშავების შემდეგ ქარხნის წარმადობა წელიწადში 50 ათას კვ. მეტრ საცხოვრებელ ფართობს მიაღწევს. ეს იგივეა, რაც 24-ბინიანი სამოცი სახლი წელიწადში, ანუ ხუთი 24-ბინიანი სახლი ყოველ თვეში.

პირველი სახლსამშენებლო ქარხნის დროით ამუშავებაში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით მშენებლებს — ს. კახნიაშვილს, ფ. შანიძეს, ი. ნაკაშიძეს, ჯ. მგელაძეს, ო. ბალანიავაძეს, სამშენებლო სამმართველოს უფროსს ი. პოტაპენკოს, მთავარ ენერგეტიკოსს ვ. აბრამოვს, ქარხნის დირექტორს ჯ. კობეშავიძეს და სხვებს.

რ. გორგაძე.

მანქანამ აალაპარაკა

უძველეს დროში ცენტრალური ამერიკის ტერიტორიაზე ცხოვრობდა ინდიელთა ტომი, რომელიც ცნობილია მაიას სახელწოდებით. ეს ტომი მისდევდა სოფლის მეურნეობას, განვითარებული ჰქონდა ხელსანობა, ვაჭრობა, ხალხური ხელოვნება.

XVI საუკუნეში ესპანელმა კოლონიზატორებმა დაიმონეს ეს ნიჭიერი ხალხი, მოსპეს მისი კულტურის ძეგლები, გაანადგურეს ტურუმები, რომლებიც ფლობდნენ ეიროგლიფური დამწერლობის საიდუმლოებას. დიდი ცივილიზაციისაგან, რომელიც ოდესღაც არსებობდა თანამედროვე მექსიკის, გვატემალისა და ჰონდურასის ტერიტორიაზე, დარჩა მხოლოდ სამი ხელნაწერი ან, როგორც მათ უწოდებენ, დრეზდენის, მადრიდისა და პარიზის კოდექსები.

ეს წელზე მეტია სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები ცდილობენ ამოიკითხონ ეს დოკუმენტები. განსაზღვრულია ციფრების, რიცხვების, თარიღების ჩაწერის ხერხები, განმარტებულია ბევრი საგანი ნახატებზე. სერიოზული წვლილი ამ საქმეში შეიტანა საბჭოთა მეცნიერმა ი. კნოროზოვმა.

გასული წლის ზაფხულში მაიას ხელნაწერთა ანალიზს ხელი მოკიდეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლიმბირის განყოფილების თანამშრომლებმა. ეს სამუშაო დაავალეს ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფს, რომელმაც დაიხმარა სწრაფმოქმედი ელექტრონული მანქანა.

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ი. კოსარევმა, გამოთვლითი ტექნიკის თვალსაჩინო სპეციალისტმა ე. ევრეინოვმა და ისტორიკოსმა ვ. უსტინოვმა დიდი წინასწარი მუშაობის შემდეგ მათემატიკური ფორმით ჩაწერეს ნიშნები, ციფრები, თარიღები. ხელნაწერში არსებული ნახატებიც გადატანილ იქნა მათემატიკურ ენაზე.

და აი მას შემდეგ, რაც მანქანაზე მრავალჯერ იქნა დამუშავებული დრეზდენის და მადრიდის ხელნაწერები, მიღებულია კარგი შედეგები. მეცნიერებმა დაადგინეს ფონეტიკა მოცემული ნიშნებისა, რომელთაგან ბევრი პირველად აღმოჩენილია. გამოთვლითი ცენტრის ელექტრონული ტვინი დაეხმარა მათ წაეკითხათ რელიგიური რიტუალების მრავალი აღწერა, მითითებები და რჩევები მეშინდვრეობაში, მოოჯახეობაში, ნადირობაში, ტაძრების აგებაში.

გამოსაქვეყნებლად უკვე მომზადებულია მაიას ხელნაწერის ორმოცამდე ფრაგმენტი. ძველი ეიროგლიფები გაცოცხლდნენ, ალაპარაკდნენ.

ლითონის „ნერვეგი“

დღემდე ფიქრობდნენ, რომ ადამიანის სხეულში ნერვების ვერაფერი შეცვლის.

ამჟამად ექიმთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ოპერაციული ქირურგიისა და ტოფოგრაფიული ანატომიის კათედრის ელექტრონული მხედველობის ლაბორატორიაში სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ბ. ოგნევი აწარმოებს უნიკალურ ცდებს ნერვის დეროების პროთეზების შესახებ. ამ ცდებში მონაწილეობას იღებენ სტალინური პრემიის ლაურეატი ინჟინერი ვ. გუდოვი, ინჟინერი ბ. ეიროვი და სხვ. უკვე მიღებულია პირველი წარმატებები.

ქირურგიის ისტორიაში პირველად ძალლის ხაჯდომის ნერვი შეცვლილია ლითონის პროთეზით. ეს ოპერაცია გაუკეთდა რამდენიმე ძალლს და ისინი შესანიშნავად გრძნობენ თავს, თავისუფლად დარბიან და ხტიან.

როგორც პროფესორი ოგნევი ამბობს, საკითხის შემდგომი შესწავლის შედეგად შეიძლება ამ მეთოდის კლინიკურ პირობებში გამოყენება. საჯდომის ნერვის გაწყვეტას მოსდევს ფეხის დამბალა, ლავიწის გატეხვისას მწყობრიდან გამოდის ხელი, მხედველობის ან სმენის ნერვის ფუნქციის დარღვევისას ადამიანი ბრმადება ან ყრუდება. ახალი გამოკვლევები იძლევა ამ ორგანოების აღდგენის შესაძლებლობას. ოგნევის ლაბორატორიაში გამონახულია მასალა, რომელსაც აქვს ნერვის გამტარიანობა.

კლასტმასა არხში

უდაბნოს ქვიშაში გათხარეს არხი, რომელსაც მშენებლებმა უდიდესი შრომა მოანდომეს. მაგრამ როცა შიგ წყალი გაუშვეს, საჭირო ადგილამდე ძლივდა მისი მხოლოდ ნახევარი. წყლის ნაწილი შეწოვა ქვიშამ. ამის თავიდან ასაცილებლად არხს მოფენენ ხოლმე ბეტონით, მაგრამ ეს ძვირი ჯდება და მისი მიტანა ადგილზე ხშირად ძალიან ძნელია.

ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში დაებადათ აზრი, რომ ძვირი და ძმიმე ბეტონი შეიცვალოს მსუბუქი და გამძლე პლასტმასებით, არხის ფსკერი მოიფინოს პოლიეთილენის აფსკით. უზბეკეთში უკვე იყო წარმოებული ასეთი ცდები, საბჭოთა მეურნეობა „დრუჟბის“ სარწყავი არხი მთლიანად მოპირკეთდა ასეთი აფსკით. შედეგი ძალიან კარგია.



ბეცნიერება ჯ ტექნიკა

მოსკოვი. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა ე. ნ. ტოლკაჩევამ და ნ. ი. შაპიროვმა აღმოაჩინეს და შეისწავლეს ქიმიური ნივთიერება ამინოეთილიზოტიურონიუმი, რომლის საშუალებითაც შეიძლება უფრო ეფექტური გავხადოთ ავთვისებიანან სიმსივნეთა სხივური თერაპია. ეს ნივთიერება ორგანიზმის ჯანსაღ უჯრედებს იცავს მაიონიზებელი სხივების მოქმედებისაგან. ცხოველებზე გაკეთებულმა ექსპერიმენტულმა შემოწმებამ დაგვანახვა, რომ ორგანიზმში ამინოეთილიზოტიუურონიუმის შეყვანის შემდეგ იგი არჩევითად ნაწილდებოდა ქსოვილებში, უპირატესად შედიოდა ცხოველის ნორმალურ ქსოვილებში და გვერდს უვლიდა სიმსივნეებს. ამის შედეგად საღი უჯრედები უფრო გამძლე აღმოჩნდნენ სხივთა ზემოქმედებისადმი, კიბოს ქსოვილები ინარჩუნებდნენ რადიომგრძნობიაობას. სხივური თერაპიის დროს ამ ნივთიერების გამოყენებისას შეიძლება გავადიდოთ რადიაქტივობის დოზა და ამით უფრო ქმედითი გავხადოთ მკურნალობა.

• • •

სურათზე: მეცნიერი თანამშრომელი ე. ნ. ტოლკაჩევა სინჯავს სიმსივნის უჯრედებიან პრეპარატებს.

ფოტო ს. პრეობრაჟენსკისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

რაჭომ დაივიწყეთ ჭუნგო?

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიან გეგმაში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ი შვიათია სოფლის მეურნეობის ისეთი პროდუქცია, რომლის წარმოება ერთდროულად არ იყოს დანერგული ორ ან ოთხ ადგილზე რეპუბლიკაში. გამონაკლისს წ�ოთოოადგენს მხოლოდ ტუხგოს ზეთის წარმოება, რომლის ერთადერთ მწარმოებლად და დამამზადებლად საბჭოთა კავშირში ჩვენი რესპუბლიკა ითვლება.

1938 წელს ქობულეთში ამუშავდა საბჭოთა კავშირი პიოელი ტუნგოს ზეთსახდელი ქარხანა. ხოლო ტუნგოს საბრეწველო პლანტაციების გაშენება დაიწყო უფრო ადრე — 1931 წლიდან, ხოლო 1940 წლისათვის ტუნგოს პლანტაციები უკვე გაშენებული იყო 16.675 ჰექტარზე. საძაძულო ომის წლებში პლანტაციების ნაწილი დაიღუპა და ტუხგოს პლანტაციები რეპუბლიკაში 12.000 ჰექტარამდე შემცირდა. შემდგომში, 1958 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს დასავლეთ რაიონებში, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში ტუნგოს პლანტაციები 8.675 ჰექტარს შეადგენდა და სავსებით ცხადია, თუ კვლავაც გაგრძელდა პლანტაციების ფართობის შემცირება, რამდენიმე წლის განმავლობაში ტუხგოს კულტურა ჩვენში სავსებით გადაშენდება.

დასავლეთ საქართველოს რაიონებში ჩაის პლანტაციებს ეძიებენ ტუნგოს საწარმოო პლანტაციების დიდი ფართობები, სადაც აგრეთვე ლიკვიდირებულ უნდა იქნას დიდი სმენჩრე. საქმეს აადვილებს ის, რომ ტუნგოს სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის საჭირო არ არის სპეციალური ნერგების გამოყენა. ტუნგოს ყველა მცენარის ძირში არის ნორჩი ნერგები, რომლებიც შეიძლება შევაჩეროთ და გამოვიყენოთ სანერგედ. ამასთან აუცილებლად საჭიროა გაუმჯობესდეს ტუნგოს პლანტაციების მოვლის ხარისხი, უზრუნველყოფილ იქნას დროული გადაბარვა, ნიადაგში ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა, რაც შედეგად მოგვცემს ტუნგოს პლანტაციის მოსავლიანობის მნიშვნელოვან გადიდებას. უკანასკნელი 14 წლის განმავლობაში საშუალოდ წლიურად რესპუბლიკაში ტუნგოს დამამზადებელმა პუნქტებმა მიიღეს 10.534 ტონა ტუნგოს ნაყოფი, ე. ი. საშუალო მოსავალი ჰექტარზე შეადგენს 1.200 კგ-ს, რაც ძალიან მცირეა. ამავე დროს ჯიხანჯურის ტუნგოს საბჭოთა მეურნეობაში (ქობულეთის რაიონი. დირექტორი ე. ვაშაკიძე, მთავარი აგრონომი კ. დიდა) ყველა აგროტექნიკური ღონისძიების დროული განხორციელებით მიაღწიეს იმას, რომ 386 ჰექტარ პლანტაციაზე საშუალოდ ჰექტარზე 4 ტონამდე ტუნგოს ნაყოფი მიიღეს, რაც მნიშვნელოვნად სჭარბობს ამერიკის შეერთებული შტატების ფლორიდის შტატში ტუნგოს ნაყოფის საშუალო მოსავლიანობას ჰექტარზე.

მაშასადამე, არსებული პლანტაციების აღდგენით, შენარჩუნებით და აგროტექნიკური ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩატარებით შეიძლება ყოველწლიურად მივცეთ სამშობლოს 20-25 ათასი ტონა ტუნგოს ნაყოფი, რაც უზრუნველყოფს ჩვენი მრეწველობისათვის ტუნგოს ზეთის მიწოდებაში შვიდწლედით გათვალისწინებული დონის ვადამდე მიღწევას.

მეორე საკითხი: დღემდე ტუნგოს ნაყოფი ხელით ირჩევა და ბარდება დამამზადებელ პუნქტებს. ცნობილია, რომ ტუნგოს ნაყოფის ხელით გარჩევა მის მოყვანაზე გაწეული ხარჯების თითქმის 40-45 პროცენტს შეადგენს. საქმეს აძნელებს ისიც, რომ ტუნგოს ნაყოფის აკრეფის და გარჩევის სეზონი ემთხვევა ზამთრის პერიოდს. კოლმეურნეობებს არა აქვთ სპეციალური ფარდულები და იძულებული არიან ტუნგოს ნაყოფი გასარჩევად დანაწილონ კოლმეურნეთა ოჯახებში.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ტუნგოს სარჩევი მანქანები რომ ჰქონდეთ, მაშინ საჭირო არ იქნება ასეთი უნაყოფო ხარჯების გაწევა, პლანტაციებში შეიძლება გაირჩეს ნაყოფი და სუფთა თესლი პირდაპირ ჩაბარდეს დამამზადებელ პუნქტებს, ჩენჩო როგორც საუკეთესო სასუქი იქნეს პლანტაციაში დარჩეს.

კიდევ ერთი მტკივნეული საკითხის შესახებ: პროდუქციის გამოშვების გადიდება და მისი თვითღირებულების შემცირება ყოველი საწარმოო კოლექტივის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ჩვენი ქარხნის პროდუქციის თვითღირებულების თითქმის 85 პროცენტს ნედლეულის ღირებულება შეადგენს. ამიტომ გასაგებია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ნედლეულის ეკონომიისათვის ბრძოლას. ამ მხრივ ქარხანაში გასულ წლებში ცოტა რამ როდი გაკეთდა, ჩვენმა ინჟინერ-ტექნიკოსებმა წარმოების მოწინავე მუშებთან ერთად წარმატებით გადაწყვეტეს ნედლეულის ეკონომიისა და საწარმოო ხარჯების შემცირების მთელი რიგი ტექნოლოგიური საკითხები.

მაგრამ ეს არ გვაკმაყოფილებს. რადგან ტუნგოს მრეწველობაში ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი შესაძლებლობა და რეზერვია გამოუყენებელი. მაგალითად, ტუნგოს ნაყოფის თესლის გადამუშავების შემდეგ წარმოებაში ნარჩენების სახით რჩება კოპტონი, რომელიც 9,5-10 პროცენტამდე ტუნგოს ზეთს შეიცავს. არსებული უახლესი მოდელის წენეი, რომელიც ქარხანაში ორი წლის წინათ გავმართეთ, საშუალებას იძლევა კოპტონის ზეთიანობა შევამციროთ 8 პროცენტამდე, ჩვენმა ინჟინერ-ტექნიკოსებმა მუშა-პრაქტიკოსებთან შემოქმედებითი თანამგზრობრობით შეძლეს. კიდევ ნახევარი პროცენტით შეემცირებინათ კოპტონის ზეთიანობა, მაგრამ მაინც რჩება ერთ ტონა კოპტონში 80-85 კილოგრამი ზეთი, რაც უსარგებლოდ იკარგება. თუ რაოდენ დიდია ეს დანაკარგები ჩვენი საწარმოსათვის, ჩანს შემდეგი მონაცემებიდან: 1958 წელს ქარხანამ გადამუშავა 15.680 ტონა ტუნგოს ნაყოფი და მიიღო 1.362 ტონა კოპტონი. თუ საშუალო ზეთიანობა 8,0 პროცენტს უდრიდა (0,5 პროცენტი ექსტრაქციის დროს იკარგება), მაშინ ამ რაოდენობის კოპტონიდან მივიღებდით 105 ტონა ზეთს.

შეიძლება თუ არა კოპტონში ზეთის დანაკარგების თავიდან აცილება? — შეიძლება! ამისათვის საჭიროა შესაფერისი სიმძლავრის საექსტრაქციო აპარატის შეძენა და გამართვა, რადგან კოპტონის დაგრეგვება და შენ

ლაოსი იბრძვის...

△ სუვანა ფუმას უარი. △ ლაოსის მთავრობის პროტესტი. △ სუფანუვონგი მოუწოდებს. △ ლაოსის საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ.

ნიუ-იორკი, 11 იანვარი. (საკდესი). ლაოსის მეფისა და ბუნ უმის მარირნეტული რეჟიმის ორი წარმომადგენელი გაგზავნეს პნომ-პენში, რათა დაერწმუნებინათ კანონიერი მთავრობის მეთაური პრინცი სუვანა ფუმა დაბრუნებულიყო ვიენტიანში, დღეს ეს წარმომადგენელნი იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ კამბოჯა. იუწყება რა ამას, ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი პნომ-პენიდან გადმოგვცემს, რომ „ამ წარგზავნილთა მისია ჩაიფუშა“.

კორესპონდენტის სიტყვით სუვანა ფუმამ განაცხადა, რომ არ დაბრუნდება ლაოსში, „სანამ იქ არ იქნება მშვიდობა“.

ჰანოი, 11 იანვარი. (საკდესი) განცხადებაში, რომელიც რადიოსადგურმა „ლაოსის ხმამ“ გადასცა, ლაოსის კანონიერი მთავრობის წარმომადგენელმა კინიმ ფოლსენამ აღნიშნა: მეფის მთავრობის არაერთგზისი გაფრთხილების მიუხედავად, ამერიკის შეერთებული შტატები, ტაილანდი და სამხრეთ ვიეტნამი კვლავ აწვდიან მეამბოხეებს იარაღს, საჭურველსა და სხვა სამხედრო მასალას. ამას წინათ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მეამბოხეებს მიაწოდეს სამხედრო თვითმფრინავები, რომლებსაც ტაილანდელი მფრინავები მართავენ.

კანონიერი მთავრობის სახელით, განაცხადა კინიმ ფოლსენამ, ერთხელ კიდევ პროტესტს ვაცხადებ ამერიკელ და ტაილანდელ ხელისუფალთა აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ და მოვითხოვ, რომ მათ დაუყოვნებლივ შეწყვიტონ მეამბოხეებისათვის დახმარების გაწევა და გაიყვანონ ლაოსის ტერიტორიიდან მთელი ჯარები მათი იარაღითურთ.

ჰანოი, 11 იანვარი. (საკდესი). პრინცმა სუფანუვონგმა ტაილანდის ხალხს მოუწოდა მტკიცედ იბრძოლოს და მოითხოვოს, რომ ტაილანდელმა რეაქციონერებმა გაიყვანონ თავიანთი ჯარები ლაოსიდან და შეწყვიტონ აგრესიის ყველა აქტი ლაოსში.

წერილში, რომელიც რადიო „პატეტ-ლაოს ხმამ“ გამოაქვეყნა, პარტია ნეო ლაო ჰაკ სატის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ აგრეთვე მოუწოდა ტაილანდელ ქალებს მოითხოვონ, რომ ტაილანდის ხელისუფლებამ გაიწვიონ ლაოსიდან მათი ქმრები და შვილები.

პრინცმა ხაზი გაუსვა, რომ ტაილანდის მთავრობის მხრივ აგრესიის აქტებმა სიძნელეები გამოიწვია ტაილანდის ხალხისათვის.

ლონდონი. ლეიბორისტული ჯგუფის „სოციალიზმის გამარჯვებისათვის“ აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს, რომ „ინგლისის ჯარები არ გამოიყენონ ლაოსში“. ლეიბორისტული ჯგუფი ამ რეზოლუციაში იმის წინააღმდეგია, რომ უცხო სახელმწიფოები ამა თუ იმ სახით ერეოდნენ ლაოსის საქმეებში.

აღმასკომი აგრეთვე მოითხოვს დაუყოვნებლივ განახლდეს ლაოსის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიის საქმიანობა, რომელიც შექმნილია ჟენევის 1954 წლის თთბირზე.

ნიუ-იორკი. ყოველკვირეული „ა. ფ. სტოუნს უიკლი“ აცხადებს, რომ შეერთებული შტატები ლაოსში ახორციელებენ ჩასაფუშავად განწირულ რეაქციულ პოლიტიკას, რომელსაც შეიძლება ომი მოჰყვეს.

ყოველკვირეული აღნიშნავს, რომ შეერთებულმა შტატებმა ცინიკურად დაუჭირეს მხარი „პარლამენტის საწინააღმდეგო სამხედრო გადატრიალებას“ ლაოსში და ყოველნაირად ერეოდნენ ამ ქვეყნის საქმეებში და წერს: „მშვიდობის გზაა სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიის საქმიანობის განახლება და ჟენევის 1954 წლის შეთანხმებათა პრინციპებისადმი დაბრუნება“.

(საკდესი).

ალჟირელი ბიბლიოფილია

ალჟირი. ალჟირელი ბიბლიოფილია ალჟირის ეროვნული ბიბლიოთეკის ფანჯრებს ალაგებს.

ტელეგრაფი გვატყობინებს

აგრესორები თავდასხმას გეგმავენ

ნიუ-იორკი, 11 იანვარი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს კორესპონდენტი ლოს ანჟელოსიდან იუწყება, ლოს-ანჟელოსის გაზეთ „მირორის“ საავიაციო მიმმხილველმა დვიგინსმა კვლავ დაადასტურა, რომ ამა წლის დამდეგს მზადდება თავდასხმა კუბაზე, კერძოდ, თავდასხმა ჰავანის დიდ ნავთობგადასამუშავებელ ქარხნებზე.

უხეში პროვოკაცია

ბერლინი, 11 იანვარი. (საკდესი). დღეს დასავლეთ ბერლინის საზღვრის ახლოს მალოვის დასახლებულ პუნქტთან სროლა აუტეხეს და მძიმედ დაჭრეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურე, რომელიც თავის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

როგორც ადნის სააგენტო იუწყება, გამოძიებამ ცხადყო, რომ გასროლა მოხდა საკონტროლო საგუშაგოდან, რომელიც დასავლეთ ბერლინის ტერიტორიაზეა.

საერთაშორისო დღეკეული, ცნობები, მიმოხილვა

ინდოეთი

კენედი ეთათბირება ანდერსონს

ნიუ-იორკი, 11 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების მომავალი პრეზიდენტი ჯონ კენედი ვაშინგტონში ეთათბირა ფინანსთა მინისტრ ანდერსონს იმის შესახებ, რომ შეერთებული შტატებიდან მიდის ოქრო. თათბირში, როგორც იუპის სააგენტო იუწყება, მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ახალმა ვიცე-პრეზიდენტმა ჯონსონმა და სენატორმა კერმა. კენედი უფრო გვიან ესაუბრა სახელმწიფო მდივნის მოადგილეს დიდონს, რომელიც დაიკავებს ფინანსთა მინისტრის პოსტს კენედის მთავრობაში.



ბელგიაში ამჟამად საყოველთაო გაფიცვაა — ამ ქვეყნის ისტორიაში ყველაზე დიდი გაფიცვა. მშრომელნი ენერგიულად გამოდიან „სიღატაკის კანონის“ წინააღმდეგ, რომლის პროექტიც ეისკენსის მთავრობამ შეიმუშავა. იგი მიმართულია მშრომელების წინააღმდეგ. ამ კანონპროექტით გათვალისწინებულია გადასახადების გადიდება, ხელფასისა და დახმარების შემცირება.

ბელგიის ქალაქებში ხალხის საპროტესტო დემონსტრაციები იმართება. პოლიცია და ჟანდარმერია სდევნიან დემონსტრანტებს, ცდილობენ დაშინონ ბელგიელი ხალხი.

სურათზე: ბრიუსელში პარლამენტის კედლებთან.

„პოლარისი“ აფეთქდა

ნიუ-იორკი, 12 იანვარი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კანაველალის კონსტიდან (ფლორიდის შტატი) იტყობინება:

გუშინ ატომური წყალქვეშა ნავიდან „რობერტ ლიდან“, რომელიც ატლანტიკის ოკეანეში იყო ჩაყვინთული, გაისროლეს „პოლარისის“ რაკეტა. მაგრამ იგი ასცდა კონტროლს და აფეთქდა ფრენის დროს მალე გაშვების შემდეგ.

„კონგოს ამგეგი“

ბელგრადი, 11 იანვარი. (საკდესი). მობუტუელების მიერ უკანონოდ დაპატიმრებულმა კონგოს პრემიერ-მინისტრმა პატრის ლუმუმბამ 4 იანვარს ტისვილის საპატიმროდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს კონგოში დაიალს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აცნობებს, თუ რა საშინელ პირობებში იმყოფებიან პატიმრები. მესენატის თავმჯდომარე ოკიტო და პარლამენტის სხვა შვიდი წევრი, წერს ლუმუმბა, მოგვათავსეს ნესტიან საკნებში და არასოდეს არ გვიშვებენ პაერზე. საშმელი, რომელიც დღეში ორჯერ მოაქვთ, განსაკუთრებით ცუდია, და ხშირად იძულებული ვარ სამ-ოთხ დღეს არაფერი ვჭამო.

...მე წამართვეს ფეხსაცმელი. ერთი სიტყვით, ვცხოვრობ სრულიად წარმოუდგენელ პირობებში.

გაზეთ „ბორბას“ კორესპონდენტის სიტყვით, პრემიერ-მინისტრი აგრეთვე აცნობებს დაიალს, რომ დაპატიმრების დღიდან მასთან არც ერთხელ არ მისულა გამომძიებელი ან მოსამართლე.

პრემიერ-მინისტრი სთხოვს დაიალს აცნობოს ყოველივე ეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ჰამარშელდს.

პარიზი, 11 იანვარი. (საკდესი). წარმატებებმა, რომლებიც ამ ბოლო დროს მოიპოვა კონგოს კანონიერმა მთავრობამ, დიდი იერიშური გამოიწვია კასავუბუ-მობუტუს ლეოპოლდვილის ბანაკში. კონგოელ მეამბოხეთა მეთაური ზედიზედ მეორე დღეა აწყობს თათბირს თავის მთავარ ბინაში, რათა გამოასწოროს მდგომარეობა. გუშინდელი დღიდან მობუტუს პოლიციამ ხანგრძლივი ხარვეზის შემდეგ განაახლა დაზვერვის ოპერაციები თვით ლეოპოლდვილში. ქალაქის ქუჩებში კვლავ გაჩნდნენ ვილისები შეიარაღებული ჯარისკაცებით, რომლებიც განუწყვეტლივ პატრულობენ ქალაქს. მიმდინარეობს მასობრივი დაპატიმრება.

როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, 9 იანვარს მობუტუს პარაშუტისტები შეიჭრნენ პროვინციის აღმინისტრაციის შენობაში, „თა პროვინციის კრების თავმჯდომარე კაკვალასთან ეპოვნათ ოდიოგადამცემი, რომლის საშუალებით მას თითქოს კავშირი აქვს ანტუან გზენგასთან, რომელიც დროებით მეთაურობს კანონიერ მთავრობას.

ლეოპოლდის ბანაკში გაიმართა უკმაკოფილო ჯარისკაცთა მიტინგები. ოფიცრები აშკარად აკრიტიკებდნენ მობუტუს. ზოგიერთმა მათგანმა დაიწყო თავისი ოჯახის ევაკუაცია.

პოლიციაში მღელვარება ისე გაძლიერდა, რომ შინაგან საქმეთა „გენერალური კომისარი“ ნუსბაუმერი იძულებული გახდა უარი ეთქვა პოლიციის ბანაკში წასვლაზე მას შემდეგ, რაც ბანაკის უფროსმა ოფიცერმა გააფრთხილა, რომ ვერ უზრუნველყოფს მის უშიშროებას.

მასობრივი მღელვარება დაიწყო სახელმწიფო მოსამსახურეებში.

ლონდონი, 11 იანვარი. (საკდესი). დღეს ლეოპოლდვილში გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების (კონგოში) სარდლობის წარმომადგენელმა დღეს გამოაცხადა, რომ მონონოში (ადმინისტრაციული ცენტრი ახალი ავტონომიური პროვინციის ლუალაბისა, სადაც აღდგენილია კონგოს კანონიერი მთავრობის ძალაუფლება) მაშველად გაგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების ბატალიონი, რომელიც უმთავრესად მაროკოელებისაგან შედგება.

საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ეს ნაბიჯი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობის წარმომადგენელმა დაასაბუთა განზრახვით „თავიდან აიცილოს სამოქალაქო ომის დაწყება“, თუმცა ამ ოპერაციიდან მიღებულ წინანდელ ცნობებში ნათქვამი იყო, რომ მთელ ახალ პროვინციაში კვლავ მშვიდობა და წესრიგია და რომ მოსახლეობა კეთილგანწყობილად შეხვდა იქ ჩასულ კანონიერი მთავრობის ჯარებს.

ალჟირი გაიმარჯვებს

დამასკო, 11 იანვარი. (საკდესი). ალჟიროზენგით „ალჟირის გამარჯვებისათვის“ მომდინარეობდა ულემთა (მუსლიმ მეცნიერ-სამართლის მცოდნეთა) კონგრესი.

გადაწყვეტილებებში, რომლებიც კონგრესმა მიიღო, ნათქვამია, რომ საფრანგეთის აგრესია ალჟირში არის აგრესია თავისუფლებისა და ჰუმანიზმის წინააღმდეგ და რომ მუსლიმურ სამყაროს უნდა მიანიშნდეს, რომ მას ომის მდგომარეობა აქვს საფრანგეთთან. ულემები მოუწოდებენ ყველა არაბულ და სხვა მუსლიმურ ქვეყნებს მოაწყონ კოლექტიური ბრძოლა ფრანგთა წინააღმდეგ ეკონომიურ და პოლიტიკურ დარგებში.

კონგრესმა მკაცრად დაგმო საფრანგეთის ატომური გამოცდები საჰარაში და ნატოს წევრი ქვეყნების პოზიცია ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, რომლებიც ეხმარებიან საფრანგეთს ჩაახშოს თავისუფლება ალჟირში.

იკედა მეგობრობას სთავაგობს ჩან კაი-შის

ტოკიო, 11 იანვარი. (საკდესი). აქ გაიხსნა მორიგი სესია ეგრეთწოდებული „იაპონია-ჩინეთის თანამშრომლობის განვითარების კომიტეტისა“ — ორგანიზაციისა, რომლის მიზანია განამტკიცოს ჩან კაი-შის რეჟიმის ურთიერთობა იაპონიასთან.

სესიაზე ჩანკაიშელთა წარმომადგენელია მრავალრიცხოვანი დელეგაცია. იაპონიის დელეგაციის შემადგენლობაში კიოდო სუსინის სააგენტოს ცნობით, იაპონიის დელეგაციის მეთაური ადატი, რომელიც ქეშის ასხმდა იაპონია-ამერიკის „უშიშროების ხელშეკრულებას“, მოითხოვდა იაპონიისა და ჩანკაიშელთა თანამშრომლობის შემდგომ გაძლიერებას.

სესიის გახსნის წინ პრემიერ-მინისტრმა იკედამ საუზმე გამართა ჩანკაიშელთა დელეგაციის წევრების პატივსაცემად.

რეაქციული კანონი პერუში

ნიუ-იორკი, 11 იანვარი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება ლიმიდან (პერუ), პერუს ეროვნული კონგრესის სენატმა მოიწონა დეპუტატთა პალატის მიერ წინათ მიღებული კანონპროექტი პერუში კომუნისტური პარტიის საქმიანობის აკრძალვის შესახებ.

ახალი რეაქციული კანონი მტკიცე პროტესტს იწვევს პერუს საზოგადოებრიობის მხრივ. ჯერ კიდევ კანონპროექტის განხილვის მსვლელობაში პერუს სხვადასხვა პოლიტიკური პარტია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები გამოვიდნენ მისი მიღების წინააღმდეგ. მაგალითად, პარტია „სახალხო მოქმედების“ ხელმძღვანელმა დეპუტატმა ფერნანდო ბელაუნდე ტერიმ აღნიშნა, რომ „კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ საბაბით რეპრესიულ ღონისძიებებს გამოიყენებენ არა მარტო კომუნისტური პარტიის, არამედ აგრეთვე სხვა პარტიებს მმართველ ამავე საბაბით დაარღვევენ პრესის თავისუფლებას.

ეს ნამდვილი სახელმწიფო გადატრიალებაა, განაცხადა სოციალურ-პრეგრესული მოძრაობის ხელმძღვანელმა ალბერტო რუის ალდრიდხემ, რადგან იგი „პერუს კონსტიტუციის ხელყოფია“.

რეაქციული კანონი დაგმო აგრეთვე პარტია „ეროვნული კავშირის“ ლიდერმა ხულიო დე ლა პიედრამ.

პერუს მრავალმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ ხელი მოაწერა ერთობლივ კომუნიკეს, რომელშიც მკაცრად გმობენ ამ კანონს.

— ხომ არ დაგავიწყდა, პიერ, გერმანულად როგორ უნდა დაიწეროს „წაეთრიეთ!“?

ბ. კრივეცის ნახატი რუმინულ გაზეთ „რომინია ლიბერედან“.

„თავისუფალ სამყაროში“

ეიხმანი მარტო როდია. სამხრეთ ამერიკის მივარდნილ კუთხეებში იმალებიან ასეთი შავბნელი საქმეების სხვა ოსტატებიც, რომლებსაც ჩადენილ დანაშაულობათა გამო დიდი ხანია სახრჩობელა ელით.

მაგალითად, ეიხმანის გატაცებიდან ერთი დღის შემდეგ გაქრა კიდევ ერთი ბიზნესმენი, გერმანელი ექიმი იოჰენ მენგელე, რომელმაც აუშვიცის (ოსვენციმი) საკონცენტრაციო ბანაკში „სახელი გაითქვა“, როგორც „განადგურების ანგელოზმა“. თავისი ხელმოწერით იგი მიუთითებდა, თუ რომელი პატიმარი გაეგზავნათ მხრჩოლავი გაზით სავსე საკანში ან რომელი უნდა გამოეყენებინათ სამედიცინო ექსპერიმენტისათვის. დღემდე თავისუფლად დასეირნობს ეიხმანის ყოფილი შეფი, გესტაპოს უფროსი ჰენრიხ მიულერი. ერთბანეს ეს უბოროტესი მკვლელი ფარულად ცხოვრობდა არგენტინის პროვინციის კორდოვის მთებში, შემდეგ პატაგონიაში. ეიხმანის ჩავარდნის შემდეგ კი იგი სასწრაფოდ მიიმალა.

დადის ხმები, რომ სამხრეთ ამერიკაში თავშესაფარი ჰპოვა ნაცისტური პარტიის მეთაურმა მარტენ ბორმანმაც. ანდერსონი წერს, რომ ბორმანი ნახეს სოფელ ესავანტინაში, ბრაზილიის შტატ გოიასში.

ბრაზილიის ქალაქ სან-პაულოს გარეუბ ანში იმალება კიდევ ერთი ჰიტლერელი. დამნაშავე — ჰერბერტ ცუკურსი. უშუალო მოწმენი ადასტურებენ, რომ მან თვალსაჩინო როლი შეასრულა 1941 წელს რიგაში 32 ათასი ებრაელის განადგურებაში. ეიხმანის დაპატიმრებით დაშინებულმა ნაცისტმა ჯალათმა სან-პაულოს პოლიციას სთხოვა უზრუნველეყო მისი დაცვა. მფარველებიც აღმოუჩენდნენ! ახლა ორი შეიარაღებული პოლიციელი მის სახლს დღედაღამ დარაჯობს.

ბევრი ნაცისტი დამნაშავე ამჟამად თავისუფალია, მაგრამ ადრე თუ გვიან ისინი პასუხს აგებენ ჩადენილ სისხლიან დანაშაულობათათვის.

მათ მიაკვლევს ხალხის რისხვა

გარეგნულად ეს ადამიანი თითქოს სხვებისაგან არაფრით არ გამოირჩევა. მაგრამ მსოფლიო საზოგადოებრიობა შეშფოთდა. როცა ამ „ჩვეულებრივ“ ადამიანში მილიონობით უდანაშაულო ადამიანის მკვლელი — ადოლფ ეიხმანი იცნო. იგი ამჟამად ციხეში ზის და ელოდება სასამართლო პროცესს, რომელიც დაიწყება 1961 წლის 6 მარტს იერუსალიმში.

მის შესახებ და სხვა ბევრ ეიხმანის შესახებ, რომლებიც გვარშეცვლილი თავისუფლად დანავარდობენ, მოგვითხრობს ამერიკული ჟურნალის „პერიოდის“ სპეციალური კორესპონდენტი ჭეკ ანდერსონი, რომელიც ლათინური ამერიკის ქვეყნებში მოგზაურობდა.

ომისშემდგომ წლებში ეიხმანი ბუენოს-აირესში გერმანული საავტომობილო ფირმის „მერსედეს-ბენცის“ კანტორაში მუშაობდა. ამ გაიძვერას თავი უბრალო, წყნარ ადამიანად მოჰქონდა და გულს მხოლოდ უახლოეს მეგობრებს გადაუშლიდა ხოლმე. „სამარეში სიცილით ჩავალ, — განაცხადა ერთხელ ამ სადისტმა. — რადგან ჩემთვის უდიდესი კმაყოფილების წყაროა 5 მილიონი ადამიანის სიკვდილის გახსენება“.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:

თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე ების — 8-63-03, 8-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 8-72-80, სამდივნოსი — 8-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 8-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 8-57-61, სოფლის მეურნეობის — 8-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-80-84, წერილების — 8-73-24, ინფორმაციის — 8-16-90, ილუსტრაციო — 8-20-48, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 8-08-67, განცხადებების მიღების — 8-64-42.



არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა. ფრანგი კოლონიზატორების წინააღმდეგ მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგი გაიმართა კაიროში ალ-გუმჰურიას მოედანზე.

პლაკატებზე წარწერებია: „ვგმობთ საფრანგეთის დანაშაულობებს ალჟირში!“, „ძირს დესპოტიური კოლონიალიზმი!“.

ფოტო ფ. ნოსოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

კომუნისტი — პოლიტიკა

XXVIII საჭადრაკო ჩემპიონატი

მეორე ტური

მოსკოვი. 12 იანვარი. (ტელეფონით). როგორც პირველ ტურში, დღესაც დედაქალაქის რკინიგზელთა კულტურის ცენტრალური სახლის დარბაზი, სადაც მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის XXVIII საჭადრაკო პირველობის ფინალური ასპარეზობა, სავსე იყო მაყურებლებით. დიდი გამოცოცხლებაა პრესცენტრში, აქ არჩევენ პარტიებს, კორესპონდენტები იღებენ ახალ-ახალ ცნობებს, უშვებენ ბიულეტენებს.

დღეგანდელი ტური (მეორე) გაცილებით უფრო შედეგიანი აღმოჩნდა, ვიდრე წინა ტური. გათამაშებულ ათი პარტიიდან მხოლოდ ორი გადაიდო — ეს პარტიებია ვ. კორჩნოი - გ. ბორისენკოსა და ე. გელერ - ა. ხასინის პარტიები. პირველში სსრ კავშირის ჩემპიონს ზედეტი პაიკი და უკეთესი პოზიცია აქვს, მეორეში უპირატესობას ა. ხასინი ინარჩუნებს.

ა. ლუტიკოვი წარმატებით იბრძოდა ვ. სიმაგინის წინააღმდეგ და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. ი. ბოლესლავსკი - ტ. პეტროსიანის, ა. ბანიკ - ვ. ტარასოვის, ლ. შტეინ - მ. ტაიმანოვის, ვ. სმისლოვ - ლ. პოლუგაევსკის, ა. ჩერეპკოვ - ბ. სპასკის, ს. ფურმან - დ. ბრონშტეინისა და ე. გუფელდ - ი. ავერბახის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

დღეს ვ. სმისლოვი და ბ. სპასკი ბრძოლის განუახლებლად პირველ ტურში გადადებულ პარტიაში ყაიმზე შეთანხმდნენ.

13 იანვარს მოეწყობა პირველ ორ ტურში გადადებული პარტიების დამთავრება.

თბილისის ქალათბურთელთა წარმატება

თბილისის ქალათბურთელთა ტურნე საფრანგეთში კვლავ ყურადღების ცენტრშია. ჩვენი ქალათბურთელები ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. მორიგი ასპარეზობა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდმა გამართა ქალაქ კლერმან ფერანში ადგილობრივ ნაკრებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 49:43.

პარტია კვლავ გადაიდო

თბილისის ჩემპიონობის საკითხი ჭადრაკში უნდა გადაწყვიტა ა. იზვოზჩიკოვისა და ე. მიქაელიანის გადადებული პარტიის შედეგს, მაგრამ ეს პარტია 5 საათის ბრძოლის შემდეგ გუშინ კვლავ გადაიდო. ა. იზვოზჩიკოვი ინარჩუნებს უპირატესობას. პარტიის დამთავრება მოხდება დღეს.

სტალინირის ნახევარფინალი

სტალინირი. (საკ. კორ.). აქ გრძელდება საქართველოს პირველობის გათამაშების ნახევარფინალური ასპარეზობა ჭადრაკში. ფინალში გასვლისათვის იბრძვიან ოსტატობის კანდიდატები, პირველობანრგოსნები.

გათამაშდა ხუთი ტური. ლიდერია ოსტატობის კანდიდატი თ. გიორგაძე (თბილისი), რომელსაც 5 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა ა. რაზოვსკი (ქუთაისი) — 4 ქულა, მესამეზე — ო. გასიევი (სამხრეთ ოსეთი) — 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

რამდენიმე სტრიქონით

დღეს ბაკურიანში იწყება ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოთხილამურეთა საკავშირო ასპარეზობა. სათხილამურო ბილიკებზე გამოვლენ სსრ კავშირისა და ოლიმპიური ჩემპიონები. ამ შეჯიბრებას წინ უძღოდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა სლალომსა და გიგანტურ სლალომში, სადაც ნაჩვენები იქნა კარგი შედეგები.

თბილისში დამთავრდა საკავშირო ზონალური შეჯიბრება ფრენბურთში მოზარდთა გუნდებს შორის. შეხვედრები წარმატებით ჩაატარეს და გაიმარჯვეს თბილისის გოგონათა და ჰაბუკთა გუნდებმა.

ამინდი

14 და 15 იანვარს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, სუსტი ქარი.

აღმოსავლეთ საქართველოში — მცირე მოღრუბლულობა, უნალექოდ, სუსტი ქარი.

რედაქტორის მოადგილე
ბ. ვარდოსანიძე.

13 იანვარი

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ფიუსტი და ვალპურგის ღამე (მე-9 აბონ. მე-5 წარმ.), რუსთველის სახელობის — ჰამლეტი, მარჯანიშვილის სახელობის — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — პირველი ცოლის მორჯულება (რკინიგზელთა სახლში), სანულაურის — იუპიტერი იცინის (აბონ. № 12), მოზარდ მაყურებელთა ქართული — სახიფათო მიჯნასთან (აბონ. № 27, 4 ს.), თოჯინების ქართული — ბურატინოს თავგადასავალი (11 ს.), ორჯერ ორი ოთხია (2 ს.), ცირკი — მრავალფეროვანი საცირკო წარმოდგენა.

ტელევიზია: 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ტყის მოგზაურები“. 18.20 — უფროსკლასელთათვის — „კინომოგზაურობა მსოფლიოს ქვეყნებში“ — ინგლისი, 19.00 — საუბარი — „კომუნიზმის დიდი ჭარტია“, 19.15 — კინონარკვევი, 20.15 — ახალი ამბები, 20.25 — ახალი ფილმი — ბალეტი „ბროლის ქოში“.